№ 2855
ხუთშაბათი,
7 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2855
ხუთშაბათი,
7 ივლისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით". პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარ. და, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

საბოლოო ვაჭრობა

ისარგებლეთ იშვიათის შემთხვევით

ამით ეუწყება ტფილისის მცხოვრებთ, რომ მე შევიძინე მაღაზია ამა ფირმისა: Депо готоваго платья В. І. Худавердянца (შეკერილ ტანისამოსის საწყობი ვ. ი. ხუდავერდიანცისა), გოლოვინის პროსპექტზე 1-ლ გიმნაზიის პირდაპირ.

რადგან გაზრახვა მაქვს სრულიად შევაჩერო ხუდავერდიანცის მიერ დაწყებული საქმე, ამა წლის **1-ლ ივლისიდან იწყება საბოლოო ვაჭრობა** და გაიყიდება ყველა საქონელი, რომელიც-კი მაღაზიაში არის, სახელდობრ: კაცის, ქალის და ბავშვის ტანთსაცმელი, ინგლისისა და რუსეთის ფაბრიკების ყოველგვარ მაუდის საქონელი ნახევარ ფასზე ნაკლებად. ფასის სიმცირეზე რეკლამა საჭირო აღარ არის: ყველას შეუძლია თითონვე დარწმუნდეს. ყოველ საქონელს

უკანასკნელი ფასი

ფერადის კარანდაშით აწერია და ვაჭრობა აღარ შეიძლება. ნარდათ მყიდველებს განსაკუთრებით დაეთმობა. ისყიდება იქვე მაღაზიის მოწყობილობა.

ვაჭრობისათვის მაღაზია ღია იქნება დილის 8 საათიდან 2-მდე და ნაშუადღევს 3-დან საღამოს 6-მდე.

პატივისცემით **ნ. საფარიანცი.**

(5—3)

ისარგებლეთ იშვიათის შემთხვევით

საბოლოო ვაჭრობა

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—49)

ლანჩხუთის
საქალაქო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მისაღები და გადასაყვანი ეგზამენები მე-2, 3, 4, 5 და 6 განყოფილებაში დაიწყება 25 აგვისტოს და გათავდება 31 ამავე თვეს (პირველი განყოფილება გაუქმებულია). მოწაფენი, რომელნიც იყვნენ დათხოვნილნი წარსულ აპრილში სწავლის ფულის შემოუტანლობით, მომავალში ვინც მოისურვებს სასწავლებელში დაბრუნებას, ვალდებულია შემოიტანოს სწავლის ფული მთელი 1905 წლისა (ლანჩხუთელები 6 მ., გარეშე პირები 20 მ.). თხოვნა და დოკუმენტები მიიღება 20 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდან. (3—6.—2)

ექიმი
ბ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—84)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—19)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—28)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეზე, აფთიაქის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარიშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8 კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
5 ივლისი

პარიჟი, გაგებული წრეები არ აძლევენ მნიშვნელობას ვიტტესა და რუვიეს მომავალ შეხვედრას. ზოგიერთ გაზეთების ცნობების წინააღმდეგ, ვიტტეს არ აქვს რაიმე სპეციალური მინდობილება საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტთან რუსის ნაღმოსნებმა მიატოვეს ფრული და ლიბავას წავიდნენ.—პრინცი არისუგავა გენუას წავიდა და იქიდან იაპონიას გაემგზავრება.

მოსკოვი, 5 ივლისი. დღეს გენ.-გუბერნატორმა დახურა ბირჟის წარმომადგენელთა სიეზდი, სცნო რა, რომ იგი თავის მიზნის წრეს გადავიდა. კრებაზე, რომელზედაც 50 კაცი იღებდა მონაწილეობას, უთანხმოება მოხდა. ცენტრალურ სამრეწველო რაიონის წარმომადგენელნი კონსერვატიულ პარტიას ემხრობიან. ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე ნაიდენოვი სასწრაფოდ გაიწვიეს პეტერბურგს.—შუვალოვის მკვლელ კულიკოვსკის საქმის გამოძიება შეწყდა. მას სამხედრო სამსჯავროს გადასცემენ.—დღეს ნაფიცი ვექილი სტარონსკი კითხულობს მოხსენებას: „რუსეთის კანონმდებლობა და ცხოვრება". მოხსენება ივანოვო-ვოზნესენსკის ამბებს შეეხება.—დღეს, სერგის დღეს, ჩუდოვის მონასტერში დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის საფლავზე გადაიხადეს პანაშვიდი.

ლოძი. „ლოძსკი ლისტ." იუწყება, სარწმუნოების თავისუფლებაზე უმაღლესი ბრძანების გამოცემის შემდეგ 130 მართლმადიდებელმა მიიღო კათოლიკობა.

კიევი, 5 ივლისი. ღამით, შუაგულ ქალაქში, კრეშჩატიკის ქუჩაზე, ქვა-ფენილზე, იპოვნეს ყუმბარა, როგორც სჩანს, არტილერიისა. ყუმბარა არსენალს გადასცეს გასასინჯავად.

მოსკოვი. უნივერსიტეტში მოსწავლე 5 ათას სტუდენტში მხოლოდ 150-მა მისცა თხოვნა პირობით გადაცდანზე. ჰფიქრობენ, ყრილობას გამართავენ სტუდენტები საკითხების გადასაწყვეტად.—დღეს, როცა სამგზავრო მატარებელი მიდიოდა გზაში, პოდოლსკთან, კურსკის გზაზე, კონდუქტორმა გადააგდო მატარებლიდან სათადარიგო ჯარის-კაცი, რომელსაც არც ბილეთი ჰქონდა და არც ფული. ჯარის-კაცი გაწყვიტა მატარებელმა.

სიმფეროპოლი. 5 ივლისი. ფეოდოსიის ომიანობის დროის წესები მოხსნეს.

სიმფეროპოლი. ტანმის საფოსტო კანტორიდან სიყალბით კაპიტანით ფოსტით გამოგზავნილი 28 ათასი მანეთი. დამნაშავე დაიჭირეს.

მოსკოვი. კულიკოვსკი, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, შეიძლება სისხლის სამართალში მიცემულ დაინიშვილის, რომელიც კატორღაში იყო გაგზავნილი და მერმე შეწყნარებული. კულიკოვსკი 34 წლისაა და კათავებული აქვს სასულიერო სემინარია.

ვარშავა, 5 ივლისი. გუშინ, საღამოს, ასე ათ საათზე, პანის ქუჩაზე, სასიკვდილოთ დასჭრეს ფაბრიკის ზედამხედველი გლებოვსკი, მსროლელნი მიიმალნენ.

ლონდონი. აქედან პირველი გემები, დატვირთული ფოლადის რელსებით და სამხედრო სურსათით ენისეის შესართავისკენ აგვისტოს პირველ რიცხვებში წავლენ. სულ გაემგზავრება 12 გემი. ნახევარი ხმელეთის პორტებიდან გავა. შეერთდებიან ერთად ნორვეგიის ერთ-ერთ პორტში, საიდანაც გემები პადარებისკენ გაემართებიან რუსის ყინულის მჭრელის მეთაურობით. ამბობენ, კაპიტანი ვიგინსი არ მიიღებს პირად მონაწილეობას ამ მოგზაურობაში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
5 ივლისი.

პეტერბურგი, 5 ივლისი. გაზეთების სიტყვით, 4 ივლისს მოხდა პირველი სხდომა საფრანგეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულობის გადასასინჯავ კომისიისა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა, ტიმირიაზევმა, მოკლე სიტყვით მიმართა საფრანგეთის ელჩს ბომპარს, რომელმაც სიტყვითვე უპასუხა. ამის შემდეგ კომისია შეუდგა ხელშეკრულობის მუხლ-მუხლ გარჩევას.

ცნობა იყო იმის შესახებ, ვითომც მატარებლიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან ტვირთად გამოგზავნილი ყუთი მოიპარეს, მილიონ მანეთით სავსე და ვითომც ამ ყუთს წითელი ჯვრის დოკუმენტები ჰქონოდეს. ამის შესახებ შეეკითხა წითელი ჯვრის მთავარი სამმართველო სამარის გუბერნატორსა და თავის ადგილობრივ რწმუნებულს, რომლებმაც უპასუხეს, რომ ყველა ცნობები ფულის პოვნის შესახებ მტკნარი სიცრუეა. უმავთულო ტელეგრაფით შორს მანძილზე ცნობის გადაცემის ცდამ, როგორც „ნოვოე ვრემია" იუწყება, კარგი ნაყოფი მოიტანა. მარკონის სისტემის აპარატით მიწერ-მოწერა გამართეს პეტერბურგისა და ვიშნივოლოჩეკს შორის, 340 ვერსის მანძილზე. მთავარი საზღვაო შტაბი გვთხოვს განვაცხადოთ, რომ ყოველი ცნობა გაზეთებისა ჯავშნიან „ალექსანდრ III"-სა და კრეისერ „მონინ"-ზე მომხდარ არეულობის შესახებ საფუძველს მოკლებულია. ამ გემზე არ ყოფილა არეულობა.

სევასტოპოლი, 5 ივლისი. „პოტემკინის" დათვალიერებისას კამანდირის კაიუტაში იპოვნეს მატროსის წერილები ჯავშნოსანზე მომავალ არეულობის შესახებ. მოიყვანილია გვარები მეთაურებისა. წერილები დაწერილია თვით ადრე აჯანყებამდე. „კრიმსკი ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია უფროსის ბრძანება მთავარ კამანდირის დანკარგულებათ ცენზურის დაჭერის შესახებ. ცენზორი სამის დღით უნდა ჩასვან საპატიმროში, რომელმაც ტყუილი ცნობები გაუშვა, სხვა ქალაქების გაზეთებიდან გადმობეჭდილი.

ოდესა. მოვიდა, იუსტიციის მინისტრის მოანდობილებით, საგანგებო საქმეთა გამომძიებელი უკანასკნელ დროის არეულობის გამოსაძიებლად. „რუსკოის საზოგადოება"-მ 2 დიდი გემი შეუკვეთა საზღვარ გარედ ადესაში დამწვარ „პეტრა"-სა და „პლატონ"-ის მაგივრად.

ელისავეტგრადი. ვოკზალზე გრაფი იგნატიევი, გუბერნატორის, თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და საერობო უფროსების თანდასწრებით ემუსაიფა აგრარულ საკითხებზე მაზრებიდან გამოწვეულ მამასახლისებს, სტაროსტებს და სოფლებს ორასამდე რწმუნებულთ, გრაფმა ურჩია გლეხებს, მოთმინებითა და ნდობით ელოდეთ მთავრობის ზომებს სოფლელების ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, ნუ გამოიწვევთ მძლავრებით სამხედროს მდგომარეობას, რაც აგიტატორების ბრალია, და ჩააგონეთ თქვენს თანამემამულეებს მშვიდობიანობის საჭიროებათ.

მოსკოვი. საინტენდანტოს მიერ ხელოსნებისათვის შეკვეთილი 160 ათასი პერანგი [illegible] 2 მილიონ პერანგზე, რომელიც იჯარადრებს ჰქონდათ შეკვეთილი. სანამ მოსკოვში მხატვართა თავშესაფარს აგებდნენ ტრეტიაკოვის ხარჯზე, გადაწყვეტილია, დახმარება გაუწიონ მხატვრების ქვრივს და ობლებს საამშენებლო კაპიტალიდან. სათადარიგო ჯარის კაცთა გაწვევა დაიწყო; მაზრაში მობილიზაცია კარგად მიდის.

მინსკი, 5 ივლისი. ფლოტის გაძლიერებისათვის შემოწირულების ამკრებმა კომიტეტმა, რომელიც წარმატებით მოქმედებდა ომის დაწყებიდან, გუბერნატორ გრაფ მუსინ-პუშკინის თავმჯდომარეობით, შეწყვიტა თავისი მოქმედება, შეჰკრიბა რა 119,452 მანეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინის ბედი. 52 წელიწადია სახალინი რუსების ხელშია და მხოლოდ შარშან ზაფხულიდან მიიღეს რამდენიმე ღონისძიება კუნძულის დაცვისათვის... სულ სახალინზე არის ეხლა 7500 ჯარის კაცი და 21 ზარბაზანი. რასაკვირველია, ეს ჯარი ვერავითარ სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს იაპონელებს. ხმელეთიდან მოწყვეტილი ჯარი დიდხანს ვერ შეინახავს თავს და იძულებული იქნება დანებდეს მტერს. ამ სამწუხარო ბედის თავიდან ასაცილებლად ცუსიმას ბრძოლის შემდეგ ჯარი უთუოდ უნდა მიეტოვებია სახალინი. იაპონელებს სრულიად არ სჭირიათ სახალინის ნაპირებს გასცდნენ; საკმარისია ამ ნაპირების დაჭერა, რადგან შემოდგომისათვის რუსის ჯარს სურსათი გამოელევა და იძულებული იქნება მტერთან მივიდეს და იარაღი დაჰყაროს.

ეს პირველად არის, რომ მტერმა მტკიცე ნაბიჯი შემოდგა ციმბირის ტერიტორიაზე... ნაპირზე გადმოსასხმ ჯარს შედარებით დიდი სამხედრო ფლოტი ახლდა და ეს იმის მოასწავებელია, რომ ამ ფლოტს სხვა დანიშნულებაც აქვს... ეჭვს გარეშე არის, სწერს „ფრაიე პრესსე", ტოგო შეუდგა ვლადივოსტოკის ესკადრას. წყნარ ოკეანის მთელ ნაპირების ბლოკადისათვის განზრახვა აქვთ ჯერ პოსიეტის ნავთსადგური დაჭირონ. მაგრამ, რადგან ეს ნავთსადგური ნაღმებით არის დაცული, იაპონელები გაიმეორებენ იმ მანევრას, რომელიც პორტ-არტურთან გაუცუდდათ: გასწირავენ რამდენსამე ძველ სავაჭრო გემს, რომელთაც ნავთსადგურში ჩაწყობილი ნაღმები ააფეთქებენ და ამგვარად ნავთსადგური გაიწმინდება. რადგან რუსეთს ფლოტი არა ჰყავს და სანაპირო სიმაგრეები ძალიან სუსტია, ეს პლანი ეხლა უთუოდ უნდა ასრულდეს. ნავთსადგურის გაწმენდის შემდეგ ჯარებს გადაიყვანენ ნაპირზე და ამგვარად უკან მოექცევიან ტუმენზე მდგარ რუსის ჯარებს. გარდა ამისა იაპონელები კამჩატკაზედაც გადავლიან.

ზავის საქმე. როგორც დეპეშიდან ვიცით, მურავიოვის მაგიერ სერგეი ვიტტე დანიშნეს რუსეთის წარმომადგენლად ზავზე მოსალაპარაკებლად. მთავრობის განცხადებით, ეს ცვლილება გამოწვეულია მურავიოვის ავადმყოფობით.

ვიტტეს დანიშვნამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარ-გარედ. მართალია, ვიტტემ ინგლისური არ იცის, მაგრამ სამაგიეროდ მშვენიერად იცის შორე-აღმოსავლეთის საქმეებიო, სწერს ფრანგული გაზეთი „ტან"-ი. გარდა ამისა იმით არის კიდევ კარგი ვიტტეს დანიშვნა, რომ იგი იმ თავითვე წინააღმდეგი იყო ბეზობრაზოვისა და ალექსეევის პოლიტიკისა. ჯერ კიდევ წასული ზაფხულს სცდილობდა ვიტტე ზავზე ყოფილიყო დაწყებული ლაპარაკი.

მეორე ფრანგული გაზეთი „რადიკალ"-ი სწერს, რომ ვიტტის დანიშვნით რუსეთმა დაამტკიცა თავის გულ-წრფელი სურვილი ზავის ჩამოგდებისა.

როგორც რომიდან იტყობინებიან, იქაურ ოფიციალურ წრეებს მოსვლიათ ცნობა, რომ იაპონიას გადაწყვეტილი აქვს სახალინი უთუოდ შეირჩინოს და ამაზედ ლაპარაკიც არ უნდა იყოს სამშვიდობო კონფერენციაზე.

გაზეთ „სლოვო"-ს სიტყვით, უმაღლესს თანამდებობის პირთა თათბირზე პეტერბურგში საბოლოოდ გადასწყვიტეს, რომ შესაძლებელია ზავის ჩამოგდება იაპონიასთან. მაგრამ ამ ზავის საფუძველი მხოლოდ ტერიტორიის დათმობა უნდა იქნეს; სამხედრო კონტრიბუციის გადახდა ყოვლად შეუძლებლად მიუჩნევიათ. კერძო ცნობებით ინგლისისა და ამერიკის მთავრობანი დარწმუნებული არიან, რომ შეიძლება ზავის ჩამოგდება ამ პრინციპიალურ საფუძველზე.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ უფრო და უფრო სარწმუნო ხდება ზავის ჩამოგდებაო, რადგან იაპონიის მოთხოვნები გადაჭარბებულად აღარ მიაჩნიათო. სამხედრო კონტრიბუცია სხვა სახით იქნება გადახდილი: იაპონიის გარეშე სესხის გადახდას რუსეთი იკისრებსო. ამ გადახდის გარანტია იქნება სამხრეთ მანჯურიის რკინის გზა, რომელსაც საერთაშორისო სინდიკატს გადასცემენ. პეტერბურგის მთავრობის წრეებში თანახმანი არიან, რომ კორეა იაპონიის პროტექტორატს ქვეშ იყოს, თანახმანი არიან თავი დაანებონ მანჯურიას ხარბინამდე და შეღავათი მისცენ იაპონელ მეთევზეებს სახალინის წყლებში.

ეს უკანასკნელი პირობა ეხლა იაპონელებს ვერ დააკმაყოფილებს, რადგან სახალინი მათ ხელშია.

რუსეთ-იაპონიის ომი და ევროპა. იაპონური გაზეთი „ნიში-ნიში-შიმბუნ"-ი სწერს: „ეჭვს გარეშეა, რომ ეხლანდელ ომიანობის ზედ-გავლენით ბოლო მოეღო ძველ შეხედულებას, ვითომ ევროპის პოლიტიკა და პოლიტიკა შორე-აღმოსავლეთისა ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყოს. დღევანდელმა ომმა ძლიერი გავლენა იქონია ევროპის სახელმწიფოების მდგომარეობაზე, განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის მდგომარეობაზედ. ომამდე გერმანია ორ ძლიერ მტრის შუა იდგა; იგი მუდამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ თავისი მდგომარეობა შეერჩინა. მაგრამ რაკი იაპონიამ რუსეთი დაამარცხა, გერმანია აღმოსავლეთით განთავისუფლდა ძლიერ მტრისაგან და ბერლინელ სახელმწიფო მოღვაწეებს ეხლა შეუძლიათ თავისუფლად განაახლონ პოლიტიკა გადიდება გავრცელებისა, რაც მაროკოს ამბებით მტკიცდება. გერმანიის მდგომარეობა ევროპაში ეხლა საშურველია, მისი ხმა დღეიდან იქნება გადამწყვეტი ხმა ბალკანეთზე, მცირე აზიაში და ევროპის სხვა პოლიტიკურ საკითხებში. საფრანგეთს [illegible], რომ გერმანია განაახლებს თავის აგრესიულ პოლიტიკას შორე-აღმოსავლეთში... და ამგვარად იგი გახდება საშიში ყველა ხალხებისათვის. საფრანგეთმა ბევრი დაჰკარგა რუსეთის დასუსტებით და კიდევ უფრო მეტს დაჰკარგავდა, რომ ინგლისს არ გაეწვდინა მისთვის ხელი. საფრანგეთს აღარ შეუძლია იმედი იქონიოს რუსეთის კავშირისა, მაგრამ სამაგიეროდ მან შეიძინა თანაგრძნობა ინგლისისა და მის მოკავშირეთა—იაპონიისა და იტალიისა".

შესანიშნავი რეფორმა საფრანგეთში.

რუვიეს სამინისტრომ ამ დღეებში დააგვირგვინა დიდ-მნიშვნელოვანი საქმე: ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან. ვალდეკ რუსსოსაგან დაწყებული და კომბის მიერ გაგრძელებული ბრძოლა კლერიკალიზმთან რუვიეს სამინისტრომ კეთილად დაასრულა შესანიშნავის რეფორმით, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთისათვის.

ახალი კანონი დიდათ დაამარცხებს „მებრძოლ კათოლიციზმს", რომელიც დიდ რეაქციონურ ძალას წარმოადგენს საფრანგეთში. კლერიკალიზმს მძლავრად აქვს გადგმული ფესვი საფრანგეთის ბურჟუაზიასა და სოფლის ხალხში, რომლებზედაც დიდი გავლენა აქვს და რომლებით მოხერხებულად სარგებლობს რესპუბლიკის წინააღმდეგ. კათოლიკე ეკლესია დიდ მოწინააღმდეგედ გამოვიდა მესამე რესპუბლიკისა; რამდენად რესპუბლიკის მთავრობა დემოკრატიულ რეფორმებს ანხორციელებდა, იმდენად შორდებოდა ეკლესია სახელმწიფოს, იმდენად უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მას. რესპუბლიკის მოსისხლე მტრები—სხვა და სხვა მონარხისტული პარტიები ენერგიულ დახმარებას იღებდნენ კათოლიკე სამღვდელოებისაგან. რამდენი გაჭირვება, რამდენი ვაი-ვაგლახი უნახავს სახელმწიფოს კლერიკალების ინტრიგებისაგან! რაც შეთქმულება იყო მესამე რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყველაში ერია „მებრძოლ კათოლიციზმის" უწმინდური ხელი. მარტო დრეიფუსის ისტორია რად ღირს?!. ამავე დრეიფუსის ისტორიამ დააჩქარა რესპუბლიკისა და კათოლიკე ეკლესიის ურთი-ერთობის მოსპობის საქმე. სახელმწიფო მოღვაწენი ნათლად ხედავდნენ, რომ სხვა საშველი არ არის და ეკლესია უთუოდ უნდა იქმნას განცალკევებული სახელმწიფოსაგან. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე ვერ გაბედეს ასეთ რეფორმის მოხდენა და ვალდეკ-რუსსომ შემცირა განზრახვა მარტო კონგრეგაციების წინააღმდეგ ბრძოლით. ამ ბრძოლამ რამდენსამე წელიწადს გასტანა, ვალდეკმა ვერც დაასრულა და ბრძოლის დასრულება კომბს უანდერძა. კომბმა განაძევა საფრანგეთიდან კონგრეგაციები და ამით უფრო გაამწვავა სახელმწიფოსა და ეკკლესიის შორის დამოკიდებულება. ბოლოს კომბი იძულებული შეიქმნა და შეუდგა განცალკევების მოხდენის საქმეს, ხოლო რუვიემ დაასრულა.

ახალის კანონით გაუქმდა ნაპოლეონ პირველის მიერ შექმნილი კონკორდატი, რომლით განსაზღვრული იყო საფრანგეთის მთავრობისა და ეკკლესიის ურთიერთობა. სხვათა შორის, ამ კანონის ძალით სახელმწიფო 40 მილიონ ფრანკს აძლევდა წელიწადში საფრანგეთის სამღვდელოებას. ამრიგად სამღვდელობა უზრუნველყოფილი იყო ნივთიერად სახელმწიფოსაგან, ამავე დროს კი იმავე სახელმწიფოს ებრძოდა. რასაკვირველია, ასეთ ანორმალურს მდგომარეობას სახელმწიფო ვერ მოითმენდა დიდხანს და აი ვერ მოითმინა კიდეც...

ახალი კანონ-პროექტი პალატამ დიდის ხმის უმეტესობით (108) მიიღო და ეხლა სენატს გადასცა; უეჭველია, სენატშიაც ასევე იქმნება მიღებული და პროექტი მალე კანონად შეიქმნება. პალატაში ყველა პროგრესიული პარტიები მიემხრო კანონ-პროექტს, თუმცა სოციალისტებსა და რადიკალ-სოციალისტებს არ აკმაყოფილებდა ბრიანისაგან შემუშავებული კანონ-პროექტი; მიემხრნენ იმიტომ, რომ იმედი აქვთ მომავალში შეასწორებენ კანონს. მთელი დემოკრატიული საფრანგეთი სიხარულით მიეგება პალატის გადაწყვეტილებას, რადგან იმედი აქვს, საფრანგეთის მთავრობა და პალატა მოისვენებენ კლერიკალების ინტრიგებისაგან და შეუდგებიან დემოკრატიულ რეფორმების განხორციელებას.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკკლესიის განცალკევებას სახელმწიფოსაგან, მშვენივრად გვიხსნის საფრანგეთის ცნობილი ისტორიკოსი თეოდორ დიურე. იმის აზრით, რესპუბლიკის არსებობიდან ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი კანონი არ გამოცემულა. საზღვარ-გარედო,—უთქვამს მას,—ვერ წარმოიდგენენ, რა დიდი საქმე აღვასრულეთო; კათოლიციზმი მიზეზი იყო ყველა რეაქციონულ მოძრაობისა, რომელთაც-კი ადგილი ჰქონდათ საფრანგეთში ამ ასი წლის განმავლობაში; რომ დრეიფუსის ისტორია არ ყოფილიყო და ზოლას ბრძოლა არ დაეწყო, ვინ იცის, იქმნება საფრანგეთსაც ესპანიის ბედი დამართოდაო. ეხლა, რაკი ეკკლესია განცალკევდა და სახელმწიფო მის სასარგებლოდ ფულს აღარ გადიხდის, კათოლიციზმის პრესტიჟი სრულიად დაეცემა ხალხში და სამღვდელოების გავლენას ძირი გამოეთხრებაო. პირველ წლებში, შეიძლება, სამღვდელოებამ შეაგროვოს 40 მილიონი, მაგრამ მერე და მერე ხალხი აღარ გაიღებს ამ ფულს და სამღვდელოება იძულებული იქმნება სახელმწიფოს მიჰმართოს. ეს გარემოება-კი სრულიად ჩამოაშორებს საფრანგეთის სამღვდელოებას რომს და სამღვდელოებაც გადემოკრატდება. ამრიგად სახელმწიფო მოისვენებს დაუძინებელ მტრის ინტრიგებისაგან და შეუდგება მშვიდობიან რეფორმატულ მოღვაწეობას...

ასეთია ახალი კანონი და ამიტომაც ადვილი გასაგებია ის ალტაცება, რომლით მიეგება მას მთელი განათლებული ევროპა და ის წყევლა-კრულვა, რომლით იხსენიებენ მას მთელის ქვეყნის ბნელი ძალები. ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან გამარჯვებაა არა მარტო საფრანგეთის დემოკრატიისათვის, არამედ მთელის ქვეყნის მშრომელ ხალხისათვის,—გამარჯვებაა ნათელისა ბნელზე და მოახლოვებაა საუკეთესო მერმისისა. **გ.**

კაუტსკის აზრი ომის შესახებ

ჟურნალ „Die Neue Zeit“-ის მე-38 ნომერში კაუტსკის წერილია დაბეჭდილი. ავტორი გვიხსნის იმას, თუ როგორ უნდა უყურებდეს ომს სოციალ-დემოკრატიული პარტია. თავის მსჯელობას იგი ამყარებს იმ აზრზე, რომ სამშობლოს ინტერესები უნდა ექვემდებარებოდეს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ამისდა მიხედვით სამშობლოს დაცვა მაშინ შეადგენს სოციალდემოკრატიის მოვალეობას, როცა სამშობლოს ინტერესები ეთანხმება მუშათა კლასის ინტერესებს ან როცა ეს დაცვა აუცილებელია საზოგადოების პროგრესისათვის. მარტო იმისთვის, რომ ომი ბარბაროსული და უზნეო საშუალებაა ხალხთა შორის დავის გადასაწყვეტად უარს ვერ ვიტყვით ამა თუ იმ ომში მონაწილეობაზე. წარმოების და საზოგადოების თანამედროვე ორგანიზაციის დროს ომი და რევოლიუცია ბუნებრივი თვისებებია, აუცილებელი მოვლენებია, რომელნიც დრო გამოშვებით ძირიანად არყევენ საზოგადოებას და ჰქრებიან მხოლოდ მაშინ, როცა თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაცია იცვლება. მთელი საუკუნეა, რაც ომსაც და რევოლიუციასაც ანდერძს უგებენ, მაგრამ ერთიც და მეორეც ხან აქ, ხან იქ წამოჰყოფს ხოლმე თავს.

კაუტსკის აზრით, თანამედროვე ომის ძირითადი მიზეზი კაპიტალისტური წარმოებაა, რომელიც აიძულებს კაპიტალისტურ ქვეყნებს ახალ-ახალი მაზრები დაიპყრონ. რადგან ევროპაში დასაპყრი აღარა დარჩა, ამიტომ სახელმწიფონი „ახალშენების“ ძებნას აფრიკასა და აზიაში შეუდგნენ. ყოველ ახლად დაპყრობილ ადგილს თან მისცეს მიზეზი შეტაკებისა და ომებისა ევროპაში. საკმაოა გავიხსენოთ ფაშოდა და მაროკკო. ყოველ საზოგადოებას ან ერს, რომელიც დამყარებულია კლასთა წინააღმდეგობაზე, თავის დასაცავად ესაჭიროება ძალა. თანამედროვე კლასთა და ერთა ბრძოლა წარმოშობს ხოლმე ისეთს მდგომარეობას, როცა ერთი ან მეორე მხარე ხმარობს ძალადობას, და ძალის უკუმქცევი კი მხოლოდ ძალაა. ომი მხოლოდ გაგრძელებაა თანამედროვე პოლიტიკისა, ამიტომ თუ გვინდა ომზე მსჯელობა, ჯერ უნდა გავარჩიოთ ის პოლიტიკა, რომლის გაგრძელებაც ომია.

სატევისა და საგერ ომების ერთმანეთისაგან განსაზღვრა ძალიან ძნელია. ომი საშინელებაა, ამიტომ ძნელად მოიპოვება ისეთი მტარვალი მთავრობა, რომელიც ადვილად, მოუფიქრებლად გაბედავს ომის დაწყებას. ჩვეულებრივად ომი შედეგია კონფლიქტისა, რომელიც მოწინააღმდეგეებს მშვიდობიანად ვერ გაუთავებიათ. შესაძლებელია სოციალ-დემოკრატია ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, რომ თვითონ მოითხოვოს აგრესიული ომი. რასაკვირველია, სანამ სოციალ-დემოკრატიას საქმე კაპიტალისტურ მთავრობასთან აქვს, იგი ყოველგვარ ომის წინააღმდეგი იქნება. მაგრამ რა საშუალებით უნდა ვეწინააღმდეგოთ ომს? კაუტსკის აზრით საუკეთესო საშუალება მუდმივ ჯარის მილიციად გადაქცევაა. ამიტომ სოციალ-დემოკრატია მუდამ უნდა ებრძოდეს მილიტარიზმს, სამხედრო ბიუჯეტს და სხვას. მაგრამ თვითონ კაუტსკი ჰგრძნობს, რომ მილიციის სისტემის მშვიდობიანად შემოღება ჯერ კიდევ დიდხანს არ შეიძლება. ასახელებენ კიდევ მომქმედ ჯარისა და რეზერვისტების გაფიცვას. სალდათების გაფიცვა, თუ კი იგი შესაძლებელია, უნდა მოხდეს უთუოდ ორსავე მოწინააღმდეგის მხარეზე ერთსა და იმავე დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვა ხელს ვერ შეუშლის ომს, პირიქით კარს, გაუღებს მტრის ჯარს თავის ქვეყნის ასაოხრებლად. ამ შემთხვევაში ომი მეტად ცუდ ფორმას მიიღებს და, რა თქმა უნდა, პროლეტარიატი მტრის შემოსევა არ უნდა უწყობდეს ხელს. პირიქით ყველა მცხოვრებთან ერთად პროლეტარიატი ყოველის ღონით უნდა ებრძოლოს თავის ქვეყნის განადგურებას. ყოველ შემთხვევაში, როგორც სატევ, ისე მოსაგერებელ ომის დროს ყოველმა ერმა უნდა იზრუნოს, რომ ბრძოლა იმის ტერიტორიაზე-კი არა, მტრისაზე იყოს.

გაფიცვა სალდათებისა, როგორც ვთქვით, ორსავე მხარეს უნდა მოხდეს, ამასთან საყოველთაოდ, ასეთი გაფიცვა ომის დროს ოცნებაა. დარჩა რეზერვისტების გაფიცვა. მაგრამ გლეხები, წვრილი ბურჟუაზია და გულგრილი პროლეტარები არ შეუერთდებიან გაფიცვას, და შეგნებულ პროლეტარიატს საფუძვლიანად დააფიქრებს ეს გარემოება. ყოველი ასეთი ცდა დაბოლოვდება პროლეტარიატის სისხლის ღვრით. ამიტომ ერვიეს აზრი, სამშობლოს უარყოფის შესახებ შეუწყნარებელია. სანამ სოც.-დემოკრატია გავლენას არ მოიპოვებს საერთო პოლიტიკაზე, მანამ იგი ომს ხელს ვერ შეუშლის. მაგრამ შეიძლება ბრძოლა თვით პოლიტიკასთან: უნდა ვებრძოლოთ პროტექციონიზმს და საკოლონიო პოლიტიკას; უნდა გამოვააშკარავოთ ასეთ პოლიტიკის მავნებლობა ყველა კლასისთვის, გარდა ერთის მუჭა წარჩინებულთათვის. საქმე არ უნდა მივიყვანოთ ომამდე, თორემ რაკი ომი დაიწყება, ველარაფერს გავაწყობთ. („ნ. ჟ.“).

ახალი ამბავი

◆ 16 ივლისს ნამესტნიკის თავმჯდომარეობით, როგორც „კ. ვ.“ გადმოგვცემს მოხდება სხდომა ამიერ კავკასიაში **საერობო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ რეფორმას დაწვრილებით შეიმუშავებენ სამაზრო და საგუბერნიო თათბირების დროს. ამ თათბირებში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი მსხვილ და წვრილ მემამულეთა, ქალაქებისა და სოფლის საზოგადოებათა. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ხაზინისა და საუფლისწულო უწყების წარმომადგენელნი. განზრახულია, მუშაობა ამ საკითხის შესახებ დაამთავრონ სექტემბრის ნახევრისათვის.

◆ გუშინ ვწერდით გენერლების თავ. ჭავჭავაძისა და ამილახვრის გაგზავნის შესახებ **გლეხებთან მოსალაპარაკებლად.** ეხლა ამის შესახებ „კავ.“-ში დაბეჭდილია: „იმ მაზრების მცხოვრებთა საბოლოოდ დასაწყნარებლად, სადაც გლეხებმა, მავნე აგიტაციის გავლენით, ძალა იხმარეს მემამულეთა წინააღმდეგ, დაიჭირეს იმათი მიწა-წყალი და ტყე, გაძარცვეს სახლები და დაიტაცეს ქონება, კავკასიის ნამესტნიკმა საჭიროდ სცნო გაიგზავნონ გენერალ-ადიუტანტები თავ. ზაგ. ჭავჭავაძე კახეთში და თავ. ი. გ. ამილახვარი—გორისა და დუშეთის მაზრებში. ამათ პირადად უნდა აუხსნან გლეხებს, რომ დიდ დანაშაულობას სჩადიან, როდესაც ძალადობას ხმარობენ, განუმარტონ, რომ დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. რაც შეეხება სოფლის საზოგადოებათა კანონიერ მოთხოვნილებებს, დაუყოვნებლივ საჭირო ზომები იქნება მიღებული. აღნიშნულ გენერლებს ნამესტნიკმა უფლება მისცა, ადმინისტრატიულის წესით დააპატიმრონ ის აგიტატორები, რომელნიც ადგილობრივ გლეხთა საზოგადოებას არ ეკუთვნიან და რომელთა დანაშაულობაც გამოირკვევა. შეუძლიათ დააპატიმრონ ეს აგიტატორები არა უმეტეს სამის თვისა. რაც შეეხება ადგილობრივ გლეხებს, რომელთაც სხვებზე ცუდი გავლენა აქვთ, ამათ შესახებ მოხსენება უნდა წარუდგინონ ნამესტნიკს. ამავე გენერლებს უფლება აქვთ, თუ საჭიროდ დაინახავენ, დაკეტონ სოფლებში დუქნები, დანიშნონ ეგზეკუციები და გადაიყვან-გადმოიყვანონ ჯარი. გენერალ-ადიუტანტ თავ. ზ. გ. ჭავჭავაძეს კახეთში მოგზაურობის დროს თან ახლდება სევერსკის დრაგუნთა მე 43 პოლკის ესკადრონი, ხოლო თავ. ი. გ. ამილახვარს—მე-44 დრაგუნთა პოლკის ესკადრონი. თავ. ამილახვარს თან გაჰყვება აგრეთვე ნამესტნიკის საბჭოს წევრი დჟუნკოვსკი.

◆ **ყუმბარები ქუთაისშიაც ესროლიათ.** 3 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ქუთაისის ქალაქის ბაღში, რუსულ გაზეთების სიტყვით, გადაისროლეს ერთი ყუმბარა. ყუმბარა აფეთქდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაქცეულა და ორი წუთის შემდეგ ბაღი დაცარიელებულ 10 საათზე მეორე ყუმბარა გაისროლეს, მაგრამ არ აფეთქდა. მესამე ყუმბარა მწვანე ბაზარში გაისროლეს, მაგრამ იქაც არავინ დაშავებულა.

◆ **ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი,** ბათუმის გაზეთის სიტყვით, სხვაგან გადაჰყავთ. გადაჰყავთ აგრეთვე სოხუმის ოლქის უფროსი პროგელბიცკი, რომლის ადგილზედაც დაუნიშნავთ პოლკ. ვახვახიშვილი.

◆ „კავ.“-ში დაბეჭდილია: მცხეთაში მაზრის პოლიციამ შეიპყრო სომეხი, რომელსაც სამხედრო-საქართველოს გზით ტფილისში მოჰქონდა **იარაღი და** 10,000 **ტყვია.**

◆ როგორც „ნ. ობ.“-ს და „ტ. ლ.“-ს გაუგიათ, პეტერბურგში აზრადა აქვთ თურმე ამიერ-კავკასიაში **ორი კათალიკოსი დანიშნონ:** ერთი აღმოსავლეთ, მეორე დასავლეთ საქართველოსთვის.

◆ **ბათუმში,** როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, საყოველთაო გაფიცვა დაიწყო 25 და დასრულდა 29 ივნისს. ქუთაისში გაფიცვამ სამი დღე გასტანა. ქობულეთში დაიწყო 26-ს და დასრულდა 29 ივნისს.

◆ ჭიათურაში 5 ივლისს **გაიფიცნენ მარგანეცის დამტვირთველი მუშები.** მუშები თხოულობენ შორაპნის დამტვირთველ მუშების მიღებას და მათთვის ჯამაგირის მომატებას; თხოულობენ აგრეთვე ახლად ჩაყვანილ მუშების უკან დაბრუნებას. სულ ჩაიყვანეს იქ 70 რუსი მუშა. ამათ, როგორც გვატყობინებენ, განუცხადებიათ, რომ აქ მარგანეცზე ვერ ვიმუშავებთ, რადგან ძალიან მძიმე მუშაობაა მარგანეცის ტვირთვაო.

◆ **ზემო ბორჩალო** თითქმის სამი თავადის სამფლობელოა. ამ ადგილას, ქართველ სოფლებს გარდა, მოიჯარადრეებად თათრები და სომხები არიან. ამ სამოცის წლის წინად იქვე ჩასახლდნენ გერმანელნი. ამ დღეებში თათრებმა კავკასიის ნამესტნიკს შესჩივლეს, რომ თუმცა ჩვენ ადგილობრივი მცხოვრებნი ვართ, მაგრამ მოსულ ელემენტებისაგან ე. ი. გერმანელთაგან მოსვენება არა გვაქვსო. ბორჩალოს მაზრაში გაიგზავნა საგანგებო საქმეთა მოხელე ნამესტნიკისაგან თავ. პ. ა. გრუზინსკი.

◆ გორიდან გვწერენ: ტფილისიდან თავის სოფელ ტირძნისში დაბრუნებულა **სტუდენტი ნ. სულხანიშვილი,** რომელსაც თან ხლებია შეიარაღებული ლეკი. შელამებისას ტირძნისის მახლობლად ვიღაცას უსროლია და სულხანიშვილი ხელში დაუჭრია.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოებას ნება დაერთო შეუდგეს **ნავთლუღისაკენ** ციციანოვის აღმართით ელექტრონის ტრამვაის შტოს გაყვანას.

◆ **სოხუმში ქალაქის თავად** ამოირჩიეს თავ. ნიკოლოზ ყარამანის ძე თავჯგირიძე.

◆ სექტემბრიდან **ნავთლუღსა და ნაძალადევში** ქალაქი აარსებს თითო პირველ დაწყებით სკოლას. სკოლების კომისიამ ზედამხედველებად აარჩია კნ. ვახვახიშვილი და ქ-ნ კანდაუროვი. ქალაქის სკოლებში ამას გარდა ხუთი ადგილი განთავისუფლდა მასწავლებლისა. კომისიამ დანიშნა კნ. ჩოლოყაშვილი, ქ-ნნი პახი და ალ. ჩიმიშკიანი. 2 მასწავლებლის არჩევა კომისიამ გადასდო. ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ შეიცვალოს მოსწავლეთა მიღების სისტემა. კომისიამ დაადგინა, ეს საკითხი განიხილოს სკოლების გამგეთა თანადასწრებით.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა **ახალი დებულება პასპორტების შესახებ.** ნამესტნიკის ბრძანებით, შესდგა კომისია საბჭოს წევრის მიცკევიჩის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა განიხილოს ეს დებულება და გამოიკვლიოს რამდენად შესაფერი იქნება იგი კავკასიისთვის. ამ დებულებით პასპორტი გაუქმებულია.

◆ ამას წინად **ყუმბარით დაჭრილნი** ბოქაული გლებოვი და უბნის ზედამხედველი ჩიკვაიძე რჩებიან თურმე. („კ. ვ.“).

ფელეტონი

ახალი ზელანდია

საპროფესიონალო კავშირები, შემათანხმებელი კომისიები, სამედიატორო სამართალი და მოხუცებულობის პენსია.

ახალ ზელანდიის კანონი მუშათა და მრეწველთა კავშირებს საპროფესიონალო კავშირის სახელით ერთ ჯგუფში ათავსებს და მათ არსებობისთვის ერთსა და იმავე პირობებსა ჰქმნის. არსებობს, ეგრედ წოდებული, „ოფიციალური სია“ კავშირებისა, რომელშიც ყოველი ახლად შედგენილი კავშირი უსათუოდ უნდა იქნას შეტანილი, თუ-კი კანონის მფარველობის ქვეშ უნდა რომ იმყოფებოდეს. ამისთვის საჭიროა მთავრობის მოხელეს წარუდგინოს კავშირის წესდება და თანამდებობის აღმასრულებელთა სია. ყველა ეს ნებართვის ასაღებად არ არის საჭირო. ნებართვის მიცემა ახალ ზელანდიის მთავრობამ არც-კი იცის რა არის. ნება ყოველგვარ კავშირების დაარსებისა ყოველ მოქალაქეს აქვს და, მაშასადამე, ნებართვის აღება არავისთვის არ არის საჭირო. ასეთი უსაზღვრო ნდობა ყოველ მოქალაქისადმი, რასაკვირველია, მართვა-გამგეობის ფორმით აიხსნება. სადაც თითონ ერი, ხალხია თავის საქმეების გამგე და პატრონი, იქ უნდობლობას რა ხელი და ადგილი აქვს? უნდობლობა მხოლოდ იმ სახელმწიფოში იჩენს ხოლმე თავს, სადაც საქმეები ხალხის ერთს ჯგუფსა აქვს ხელში ჩაგდებული. ამნაირ, პოლიციურ, სახელმწიფოშიც იმიტომ გაიდგამს ხოლმე უნდობლობა ფესვებსა, რომ ეს ერთი გაძლიერებული ჯგუფი თავის უპირატესობა-უფლების დასაცველად ყოველგვარ უკანონობას და უსამართლობას სჩადის. იქ, სადაც უსამართლობას არ სჩადის მთავრობა და დამალული არა აქვს-რა, სიტყვის თავისუფლებას რად არ მისცემდნენ ერს? თუ დარწმუნებული მთავრობა, რომ სახელმწიფოს ფული თითონ არ ჩაუდვია ჯიბეში, რამდენიც უნდა ერსა თუ იმის წარმომადგენლებს, იმდენი უყონ სახელმწიფო თანხებს კონტროლი. თუ უსამართლო მართვა-გამგეობით მთავრობას უმეტესობის სულ უმცირესი უფლებანი და კაცური ღირსება არ შეუბღალავს, კავშირების და ერთობების უფლებას რატომ არ უნდა აძლევდეს თავის ქვეშევრდომთ? ახალ ზელანდიის მთავრობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ახალ ზელანდიის საქვეყნო საქმეების მმართველნი და გამძღოლნი, [illegible] ახალ ზელანდიელთ როგორც მტრებს, ისე არ უცქერიან და ამიტომ სრულ თავისუფლებას აძლევენ ყველას.

მეტად საინტერესოა ახალ ზელანდიის კანონმდებლობის აზრი კავშირებისა და გაფიცვის შესახებ. „პირის შეკვრა და შეთქმულობა ისეთ მოქმედებას შესახებ, რომელიც უკანონოდ არ არის აღიარებული ერთი პირისთვის, არც მრავლისთვის, უნდა იყოს აღკრძალული“. მაგ., თუ ერთ რომელსამე მუშას შეუძლიან და სრული უფლება აქვს ერთ მშვენიერ დღეს სამუშაოზედ ხელი აიღოს, ამნაირივე უფლება უნდა ეძლეოდეს ბევრსაც, თუ ვინიცობაა, ისინი შესთანხმდნენ და ერთ დროს დაანებეს სამუშაოს თავი. ამ პრინციპის წყალობით ახალმა ზელანდიამ გაფიცულ მუშებზედ ჯარის მისევა და მათი გამათრახება არ იცის. ის არასოდეს არა კადრულობს ერთ რომლისამე მხრის გამოსარჩლებას და თავის ლოღიკურის მსჯელობით მწარმოებელსაც და მუშასაც ერთ და იმავე პირობებში აყენებს. იმისთვის სულ ერთია, მუშები გაიფიცნენ თუ მწარმოებლებმა მიმართეს თავის ლოკაუტს (ყველა მუშათა ერთ დროს დათხოვნას). მხოლოდ ერთ შემთხვევაში უხვევს ახალ ზელანდიის მთავრობა ამ პრინციპს. იმ ქარხნებში, სადაც ან წყლის გამოყვანაზედ ან ქალაქის განათებაზედ მუშაობენ, მუშები მოვალენი არიან ორი კვირის წინ გამოაცხადონ, რომ გაფიცვას აპირებენ. ამ შემთხვევაშიც მთავრობა მწარმოებელთა მხარეს-კი არ იჭერს, მთლად საზოგადოებას ესარჩლება.

მუშათა კავშირებს მუშების პროფესიონალურ, ეკონომიურ ინტერესების დაცვა აქვს აზრად. ჩვენ პირველი განვიხილოთ, რადგან ეკონომიურად დამხმარებელი ამხანაგობა და კავშირი მრავალზედ უმრავლესია ახალ ზელანდიაში. საინტერესოა ჩვენთვის მათი პოლიტიკა გაფიცვების შესახებ. ყოველ ქარხანას და დაწესებულებაში, სადაც-კი კავშირის ორი, სამი წევრი მაინც მუშაობს, საპროფესიონალო კავშირს თავისი წარმომადგენელი ჰყავს. ამ უკანასკნელთა მოვალეობაა მწარმოებელთა და მუშათა შორის დაწყებული უთანხმოება-უსიამოვნება დაუყოვნებლივ კავშირის გამგეობას აცნობოს ხოლმე. კავშირთა უმეტეს ნაწილს პირდაპირ აქვს თავის წესდებაში გამოცხადებული, რომ გაფიცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს კავშირის წევრებმა, თუ მწარმოებელთა და მუშების შესათანხმებლად ვეღარაფერმა ხერხმა ვეღარ გასჭრა. საზოგადოდ-კი გაფიცვა დაინტერესებულ მუშათა კენჭის ყრით უნდა გადასწყდეს ყოველთვის (ორი მესამედი სწყვეტს ამ საკითხს). კავშირის განყოფილებას უფლება არა აქვს გაფიცვას მიმართოს თუ კავშირის ნებართვა არა აქვს აღებული. თუ ვინიცობაა რომელიმე განყოფილებამ წესდების ეს მუხლი დაარღვია და გაიფიცა, კავშირი მატერიალურად დახმარებას აღარ უწევს განყოფილებას. საკვირველი ის არის, რომ ახალ ზელანდიის საქარხნო ინსპექცია მადლობელიც არის ამ კავშირებისა, მაშინ როდესაც ჩვენ როგორც მაგ ჭირს, ისე გავურბით ამგვარ დაწესებულებებს. ამას წინად 9 იანვარს დაღვრილმა სისხლმა რომ მეტად გაამწვავა მუშათა საკითხი და რუსეთის რეჟიმზედ მთელი ქვეყანა აალაპარაკა, შესდგა სპეციალური კომისია, რომელსაც მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება ჰქონდა მინდობილი. ყველა ამას იქნება მუშებისთვის ძალიან კარგი შედეგი მოჰყოლოდა, რომ მეფესა და ხალხს შორის ბიუროკრატია არა მდგარიყო რუსეთში დღეს ისეთი დღე დადგა, რომ ყველა კავშირებსა და შეთანხმებაზედ ლაპარაკობს. რადა თქმა უნდა, რომ უმაღლესად დამტკიცებული კომისიაც გვერდს ვერ აუხვევდა ამ საკითხს და ასე თუ ისე მათ შესახებ თავისი აზრი უნდა წარმოეთქვა. კომისიამ არც ამხანაგობა და არც კავშირი უარი არა ჰყო და ამგვარად ახალ ზელანდიას თითქმის მიუახლოვდა... კომისიის მიერ შედგენილ პროექტის აზრით, ამხანაგობა და საპროფესიონალო კავშირი არაფრით არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ერთსაც და მეორესაც აზრად შრომის პირობების გამოკვლევა, მათი გაუმჯობესება და მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვა აქვს. განსხვავება-კი მათ შორის ნამდვილად ის არის, რომ ამხანაგობა ერთ რომელსამე ქარხნის მუშებს შეაერთებს, მაშინ როდესაც საპროფესიონალო კავშირი მთლად წარმოების მუშებს შეაერთებდა და მათ, რასაკვირველია, დიდ ძალას მოუმატებდა. ერთ რომელსამე ქარხნის მუშებს ხომ ყოველთვის შეუძლიათ შეთანხმება, საქმე საპროფესიონალო კავშირი იყო, რადგან შრომის მოედანზედ მხოლოდ ასეთი კავშირი მოიპოვებდა მაგარ პოზიციას. რუსეთის ბიუროკრატიამ სწორედ ამიტომ ამჯობინა პირველი და მეორე დაამახინჯა... ყოველი ამხანაგობა იმდენ ნაწილად უნდა დაიყოს, რამდენი ასი წევრიც შედის ამხანაგობაში, ამბობს კოკოვცევის პროექტი. ყოველ ნაწილს თავისი წარმომადგენელი ჰყავს, რომელიც ქარხნის პატრონთანა და საქარხნო ინსპექციასთან საქმეს იჭერს და იმათ პასუხს თავის ამხანაგებს აცნობებს, ამნაირ ამხანაგობის წესდებას საქარხნო ინსპექცია ამტკიცებს და სხ.

აქაც ძველებური პოლიტიკა და ხერხია საფუძვლად და დედა აზრად მიღებული. კომისიას რომ მართლა მუშების დახმარება ჰქონოდა აზრად, მათ დაცალკევება-დაქსაქსვას არ მოახდენდა, რასაკვირველია. ასზედ მეტი არ უნდა ყოფილიყო თითო განყოფილებაში. ეს ხომ იმავე საქარხნო ინსპექციისა და მრეწველთათვის იქნება სასარგებლო და ხელ-საყრელი? რადა თქმა უნდა, ათასსა და ორიათასს მუშას, რომ ერთად განეცხადებინა თავისი სურვილი და მოთხოვნილებანი, ეს მრეწველებსაც შეაწუხებდა და ადმინისტრაციასაც. როგორც ქურდს არ უყვარს ნათელი და მთვარიანი ღამე, ისე ბიუროკრატიას ეჯავრება ხმა მაღალი ლაპარაკი და ხალხის ერთობანი. მარტოკა რაც გინდა იფიქრე, რაზედაც გინდა იოცნებე, ოღონდ სხვებს ნურაფერს ნუ ეტყვი იმ ძალმომრეობაზედ, რომელიც შენ გაგრძნია ან შეგინიშნავს. მუშებმა რომ საპროფესიონალო კავშირები შეადგინონ, მაშინ ხომ მალე იგრძნობენ თავის ძალას და ეს რა სასურველი იქნებოდა ბიუროკრატიისათვის?

საპროფესიონალო კავშირების დაარსება ისეთ საჭირო-ბოროტო საკითხად გადიქცა რუსეთში, რომ რუსეთიც, როგორც პროგრესის გზაზედ დამდგარი ქვეყანა, ამ საკითხს გვერდს ვერ აუხვევდა და აგი კოკოვცევის კომისიამაც იმიტომ დაამახინჯა კავშირის დედა აზრი. პროექტის აზრით, კავშირს აზრად აქვს—სხვა და სხვა ზომების მიღება მუშებისა და მრეწველთა შესათანხმებლად, ხელ ფასის რაოდენობის აღნიშვნა, წევრების მატერიალურად დახმარება გაფიცვებისა და სხვა გაჭირვების დროს და სხ. ერთის სიტყვით, არც დასავლეთ ევროპას და არც ახალ ზელანდიას უნდა ჩამორჩენოდა რუსეთი, რომ ერთი რამე არ დაემატებინა კომისიას, თურმე ამ კავშირის წევრობა მრეწველებსაც შესძლებიათ. ბოლოს გამოჩნდა, რომ კოკოვცევის კომისიის მიერ სასურველად ცნობილი კავშირი მუშების საპროფესიონალო კავშირი კი არ იქნება თურმე, ის ისეთი ორგანიზაცია იქნება, რომელიც კაპიტალისტსა და მუშას,

✦ „კახეთის" საზოგადოების გაფიცული მუშები და ამავე საზოგადოების გამგეობა შეთანხმდნენ და მუშებმა **უკვე განაგრძეს მუშაობა.**

✦ მკითხველები უკვე იცნობენ ცაპინს, რომელიც ტფილისში ჭარი-არად სახლებს აშენებს, ბანკში კარგ ფასად აგირავებს და შემდეგ ბანკსავე უტოვებს. ამ განთქმულ ცაპინის ნაქონარის სახლის წინ აივანზე, არსენალის ქუჩაზე, 4 ივლისს ყოფილა მდგმური ეკატერინე ჩილიკოვისა თავის 3 წლის ქალით. უეცრად აივანი ჩანგრეულა და მესამე სართულიდან დედაშვილი ჩავარდნილა. რაღაც სასწაულით ქალი სიკვდილს გადარჩენილა, ხოლო ბავშვი დაშავებულა მძიმედ.

✦ კურსკის ქუჩის მცხოვრებლებმა სთხოვეს გუბერნატორს, აიძულოს ქალაქის გამგეობა, ეს ქუჩა მოაწესრიგოს.

✦ გუშინ დილით ავლაბარში, საყასბოს ქვემოდ ნახეს ორი გვამი მოკლულ კაცებისა. მოკლულნი სომხები არიან. ერთს ყელი აქვს გამოჭრილი, მეორეს კი თავში სასიკვდილო ჭრილობა აქვს. იქვე მოკლულების ახლო ეყარა დამტვრეული ბოთლები, ჭიქები არაყისა. როგორც ეტყობა, აქ ღამით მოქეიფე კამპანია ყოფილა, დამთვრალან, ერთმანეთს დარევიან და ორი კაცი მოუკლავთ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, მიეცეს ხაზინიდან ქალაქს 310,000 მან. ეს ფული კავკასიის ნამესტნიკის სასახლეზეა დარჩენილი, როგორც დასაფასებელი გადასახადი.

✦ ქალაქის ტეხნიკოსმა აცნობა გამგეობას, რომ ხმოსნებმა ფრიდონოვმა და ფეფელოვმა გამგეობის დაუკითხავად არხები გაიყვანეს და მიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ.

✦ 5 ივლისს ოქროყანის პოლიციის დარაჯს ალი-მირზა ხასოვ უულიევს სუმბათაშვილის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდა მეეზოვე ბაბა საჰაქის ოღლისთან, ჩაჰკრა ხანჯალი გვერდში და სასიკვდილოდ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ ჯაბაგორებს დათიკო დავიდოვს და ვანო ჯანიბეკოვს და ერთმანეთი ხანჯლებით დასჭრეს. დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 5 ივლისს პოლიციის მე-7 ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ სიმონ კრიტონს და სალდათს ვასილ ტატარენკოვს. პირველმა უკანასკნელი სასიკვდილოდ დასჭრა.

✦ ტფილისის მცხოვრებმა ნინო არუთინოვის ქალმა პოლიციაში განაცხადა, რომ სიღნაღის მაზრის მცხოვრებმა მიხეილ ნათელაშვილმა მას მის არ ყოფნის დროს მოჰპარა ფულად 600 მან. და ფასიანი ქაღალდები 4000 მან.

✦ ქალაქის საყასბოში ეს მეორე დღეა ყასბები საქონელს აღარ ჰკლავენ. საყასბოში მხოლოდ ქალაქის დუქნებისათვის იკვლის საქონელი.

✦ ქალაქის საყასბოში წასულ ივნისის განმავლობაში დაუკლავთ სხვილ ფეხა საქონელი 1787, ხბო 82, ხოლო ცხვარი 3935 სული.

✦ სად. ქიათურა. 5 ივლისს, საღამოს 7 საათზედ, ვიღაცამ დარაჯს სიმონ კანოვცევს სამჯერ დაახალა რევოლვერი, მაგრამ ააცდინა.

რუსეთის ქრონიკა

თავ. სვიატოპოლკ-მირსკი. როგორც „ნ. ჟ." გადმოგვცემს, ამ ცოტა ხანში პეტერბურგს ჩავა შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი სვიატოპოლკ-მირსკი. ამბობენ, თავად მირსკის დიდ თანამდებობას აძლევენო.

გენ. ტრეპოვის მინისტრად დანიშვნა. სწერენ, შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი თავს ანებებს თანამდებობასაო. კანდიდატებად ბევრს ასახელებენ. სხვათა შორის, „ნოვოსტი" ამბობს, მინისტრად პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს გენერალ ტრეპოვს ჰნიშნავენო.

უწ. სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი. პობედონოსცევი, რომელიც ამ ჟამად საზღვარ-გარეთ არის, ძლიან ავად გამხდარა. („ნ. ჟ.").

გაფიცვა ივანოვო-ვოზნესენსკში. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ივანოვო-ვოზნესენსკში დიდი გაფიცვა მოხდა.—27 ივნისს მუშებმა გადასწყვიტეს, განაახლონ მუშაობა. ასეთი დიდი გაფიცვა ჯერ რუსეთში არა ყოფილა. გაფიცვამ მთელი 50 დღე გასტანა. შეტაკებაც მოხდა, რომლის დროსაც ბევრნი დაიხოცნენ და დაშავდნენ. („რ. ვ.").

აფიცრის მოკვლა. „იუჟ. კურ." შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: ქალაქი ფეოდოსია ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო „პოტემკინის" ისტორიით, რომ ახალი ამბავი მოხდა. ვილნოს პოლკის მეცხრე როტის მედოლაბანდემ პარადის დროს თოფი ესროლა აფიცერთა ჯგუფს და დასჭრა აფიცერი დროზნინი და იქვე მახლობლად მდგომი სალდათი. აფიცერი მსუბუქად დაიჭრა, სალდათი-კი მძიმედ. როგორც ამბობენ, ამ საქმეს კავშირი აქვს უკანასკნელად მომხდარ ამბებთან.

მოსკოვის გრადონაჩალნიკის გრაფ შუვალოვის მკვლელი დღემდე ჰმალავდა თავის გვარს. ეხლა, როგორც მოსკოვის გაზეთები გადმოგვცემენ, თავისი ვინაობა გამოუაშკარავებია. მკვლელი გვარად კულიკოვსკი ყოფილა, ციმბირელი. წინად სახალხო სკოლაში მსახურებდა მასწავლებლად. ერთ ხანს მასწავლებლად პეტერბურგშიაც ყოფილა. 2-3 წლის წინად მოსკოვში უცხოვრია, საიდანაც პოლიტიკურ საქმის გამო ადმინისტრატიულის წესით გაუგზავნიათ. ამბობენ, ტომსკში კულიკოვსკი დიდ პოლიტიკურ საქმეში ერიაო. ამ ჟამად კულიკოვსკი საპყრობილეშია.

ადმირალი როჟესტვენსკი. „ნოვ."-ს სიტყვით, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ადმირალ როჟესტვენსკის დანიშნავენ საზღვაო მინისტრის ამხანაგად. მთავრობის წრეებში ძალიან აფასებენ თურმე ამ ადმირალს და ამბობენ, როჟესტვენსკიმ დიდი ჭკუა, გამოცდილება და მოხერხება გამოიჩინა ამ ომის დროსაო.

ყაზახთა ჯარის გაუქმება. თითქმის ყველანი ერთხმად მოწმობენ, რომ თანამედროვე ომისთვის ყაზახ-რუსები სრულებით გამოუსადეგარნი არიან. მანჯურიაში უკან დახევის და, საზოგადოდ, ბრძოლის დროს, პირველნი ყოველთვის ყაზახები გამორბოდნენ. ყველა ამის გამო მთავრობას გადაუწყვეტია, გააუქმოს ყაზახთა ორგანიზაცია და შეუერთოს იგი დანარჩენ ჯარს. („ნოვ.").

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციისაგან:

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ 10 ივნისიდან. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერთ, ფულის გამოგზავნის დროს, გამოგზავნონ აგრეთვე ბანდეროლიანა ნამდვილი ადრესი.

ელიზე რეკლუ *)

ამ დღეებში გარდაიცვალა მსოფლიო მეცნიერი გამოჩენილი გეოგრაფი ელიზე რეკლუ.

ჟან-ელიზე რეკლუ, პროტესტანტთა პასტორის შვილი, დაიბადა სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში 1830 წელს. უნივერსიტეტი დაასრულა ბერლინში, სადაც, სხვათა შორის, მოისმინა ცნობილ გეოგრაფის რიტტერის ლექციები. 1851 წელს, როცა საფრანგეთში ნაპოლეონ მესამემ გაიმარჯვა, ელ. რეკლუ განშორდა სამშობლოს და მოგზაურობას შეუდგა. დიდხანს იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში და შეაგროვა დიდძალი მასალა, რომელიც დაბრუნებისას შეიმუშავა და დაჰბეჭდა საუკეთესო ფრანგულ ჟურნალებში. საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს რეკლუ ნაციონალურ გვარდიაში მსახურებდა, ხოლო კომუნის აჯანყების დროს აჯანყებულთა რაზმებში იღებდა მონაწილეობას და მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა. ამისთვის რეკლუ კატორღაში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ ევროპის მეცნიერთა თხოვნით აპატიეს, მხოლოდ სამშობლოდან განაძევეს. ცხოვრობდა ხან იტალიასა, ხან შვეიცარიასა და ბელგიაში, 1893 წლიდან რეკლუ ლექციებს კითხულობდა ბრიუსელის სახაზინო, შემდეგ თავისუფალს უნივერსიტეტებში.

როგორც გეოგრაფი, ელ. რეკლუ ავტორიტეტია მსოფლიო მეცნიერებაში. მას ეკუთვნის შესანიშნავი გეოგრაფიული თხზულება „ახალი საყოველთაო გეოგრაფია. დედა-მიწა და ადამიანი", რომელიც 19 ტომისაგან შესდგება და შეიცავს თითქმის მთელის მსოფლიოს დაწვრილებით აღწერას. სხვა თხზულებიდან აღვნიშნავთ „მოგზაურობას სიერა—ნევადაში", „ერთის მთის ისტორიას" და სხვ.. მისი თხზულებანი შესანიშნავნი არიან როგორც ნამდვილის მეცნიერულის ღირსებით, ისე მშვენიერის მარტივის და ცოცხალის ენით.

შესანიშნავი იყო რეკლუ აგრეთვე როგორც მოქალაქე და ადამიანი. მტერი ყოველგვარ უსამართლობისა და ძალმომრეობისა, რეკლუ გულმხურვალე მომხრე იყო მშრომელ ხალხისა და ამიტომ თავგამოდებით იბრძოდა ჯერ რესპუბლიკისათვის, შემდეგ კომუნისტებთან ერთად და ბოლოს ანარხისტთა პარტიაში; მაგრამ უკანასკნელებთან მას აერთებდა უფრო თეორია ინდივიდუალიზმისა, ვიდრე პრაქტიკული ბრძოლა.

შესანიშნავის მეცნიერისა და ადამიანის სიკვდილმა მწუხარება გამოიწვია მთელს ევროპაში, თუმცა განსვენებული დიდის ხნისა იყო (74 წ.).

წერილი რედაქციის მიმართ

. რადგან ავადმყოფობის გამო მე ჩემი პასუხი თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა კრებას მივეცი იმ დროს, როდესაც გაფიცვის გამო გაზეთები შესწყდა, და საჭიროა სიმართლის გამორკვევა მაზედ, რაც საზოგადოთ ან ჩვენს სამს წევრზე და უმეტეს ჩემზე ითქვა, გთხოვთ ამ ჩემს დიდათ შემოკლებულს სიტყვას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ანტონ ფურცელაძე.

„ჩემი ავადმყოფობის გამო მე ვერ დავესწარ კრებებს და ამიტომ არც შემეძლო მეთქვა რამ როგორც საერთო სალაპარაკო საქმეზე, აგრეთვე მაზე, რასაც გვწამებდნენ ზოგიერთა ორატორები ჩვენ სამ წევრს მმართველობისას გრუზინსკის, მამაცაშვილს და მეტადრე მე. აქ წინად განზრახული აზრით მიშლიან ლაპარაკს, უნდათ, სიმართლე არ გამოჩნდეს... საქმე გაამწვავა მან, რომ მრავალი მამული დარჩა ამ ბოლოს ხანებში ბანკს, რომლის გამოც ვითომც დიდი ზარალი მოგვსვლოდეს. მართალია ბევრი მამული დარჩა, მაგრამ ბევრი მამულიც დაგირავდა. ამ სამს წელიწადს დაგირავდა თითქმის იმოდენა ფასის მამული, რაც დაგირავდა წინად ოცდაშვიდი წლის განმავლობაში. მართალია, ამ მამულებში, რომელნიც დარჩნენ ბანკს, არიან ისეთნიც, რომელთაც დაფასება არაფრით არ შეიწყნარება. მაგრამ არიან ისეთი მამულებიც, რომლებიც დარჩა ბანკს მარტო იმ მიზეზით კი არა, რომ ძვირად იყვნენ დაფასებულნი, არამედ სხვა გარეშე მიზეზების გამოც. ზოგიერთა ორატორთა აზრით ისე გამოდის, ვითომც ეს მილიონის მამული, რაც ბანკს დარჩა, წარმოადგენს მილიონის ზარალსაც. ვნახოთ, მართლა ასეა? ბევრი მამული გავყიდეთ, თითქმის სამასი ათასი მანეთად და თითქმის უზარალოთ. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვითომც სხვა მამულებს ფასი არა ჰქონდეთ და ისრე გადავყრით. მაგრამ ყური დავუგდოთ ახლა იმ ზარალს, რომელიც ვითომც ბანკს მოსვლოდეს და რომლისა გამო ასრე მღელვარეთ ლაპარაკობენ აქა არამც თუ ალებ-მიცემაში და თვით [illegible] ენაზე იმას ჰქვიან ზარალი, როდესაც თქვენი პასსივი აღემატება აქტივს. წინა ორ წელიწადს რომ თავი დავანებოთ ამ უკანასკნელ საანგარიშო 1904 წ. წმინდა მოგება. დარჩა ბანკს 282673 მანეთი. ეს განა ზარალია?...

რა ყურადღებოთ ეკიდებოდნენ რევიზორები მათზე მინდობილს საქმეს, და რაგვარი შეხედულობა იჩინეს მათ ბანკის ოპერაციებზე, აი ზოგიერთა ამისი ნიმუშები. გამომძიებელმა კომისიამ, დანიშნულმა რწმუნებულთა კრებისაგან, ზედამხედველი კომიტეტის რევიზორებმა, მმართველობის წევრებმა გასინჯეს ბანკზე დარჩენილი სახლები. მათგან შედგარს ქაღალდებზე აშენდა ეს საშინელი აურ-ზაური, რომელსაც იჩენს დღეს კრება. ამათ აქტებს რომ ყური უგდოს კაცმა, მეტი წილი, სახლები კი არა, რაღაცა საჯინიბოებია დაგირავებული და ბანკზე დარჩენილი. მაგრამ კრება რომ კარგათ დაჰკვირვებოდა საქმეს, მშვიდი გულით მოესმინა ყველაფერი, იქნება ბევრში მაინც შეეცვალა აზრი. სარევიზიო კომისიის აქტი ეწინააღმდეგება ზედამხედველი კომიტეტისა და მმართველობის წევრთა აქტებს, ზედამხედველი კომიტეტის რევიზორების აქტი, რევიზიის კომისიის და მმართველობის წევრთა აქტებს, მმართველობის წევრთა აქტი სხვებისას. ერთისა და იმავე მამულისას ერთნი იძახიან ჩინებული, მკვიდრი შენობააო, ნამდვილი სასახლეაო, მეორენი იძახიან, რაღაცა ხუხულაებიაო, თითი რომა ჰკრა გადაიქცევაო. რისგან მოხდა ესა? მისგან, რომ, ყველა რევიზორმა თავისი თავი აღიარა წარჩინებულ ხუროთმოძღვრათ, დაუწყო შენობების აგებას და სიმკვიდრეს დაფასება, და რაკ გონებაში მოუვიდათ, გამოუძიებლად, აუწონავად ის შეიტანეს თავის აქტებში. შენობების დაფოლებაზე უაყეს ერთმანეთს ცილობა, და ქვეყნის თვალში დაცემა. არავინ მათგანმა არ იფიქრა მაზე, რომ ამ კვლევაში წესიერება თხოულობდა გამოეკვლიათ საქმე სპეციალისტების შემწეობით. ეძიებდნენ კომისიები, გამომძიებელნი მიზეზს ბანკზე ამდენა მამულების დარჩენისას, და დავიჯერო, გარდა ძვირად დაფასებისა და კრიზისისა, სხვა მიზეზები ვერ იპოვნეს? ნუ თუ არ არიან იგინი? გახლავან და იქნება ერთი თავ მიზეზთაგანი ისინიც არიან. მაგრამ გამომძიებელთა ვერ იძიეს იგინი.

არამც თუ არ გამოიძიეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მამულების დარჩენისა, ისიც კი გამოეპარათ, რაც, სხვებს რომ გამოჰპარვოდათ, ზედამხედველი კომიტეტის წევრ რევიზორებს მაინც უნდა სცოდნოდათ. ავიღოთ თუნდა სახლი ცაპინისა, რომელიც იმოდენა საყაყანოდ გახადეს. ეს მამული არის გასინჯული და დაფასებული კომისიის ხუთი წევრისაგან. ეხლაც, ჩვენს გამოუცდელ და შეუჩვეველს ხელშიც კი მეტს იძლევა შემოსავალს, ვიდრე სახლში გასავალი აქვს ბანკს. რად დარჩა ცაპინის მამული ბანკს?—ცაპინს, შემდგომ მისა, როდესაც იმან დაგვიგირავა ჩვენ ის მამული, ნადიროვის ცოლმა ადგილზე დავა გამოუცხადა და მოუგო კიდეც. გიჟი იყო ცაპინი, რომ ამას იქით კიდევ გაეშვა ეს მამული თავის ხელში?..

მაგრამ ამგვარები, შედარებით სხვასთან, ცუდი არაფერია. საქმე მათი შეხედულობაა ბანკის ოპერაციებზე და დაკვნა საქმისა. კრების რევიზორები და ზედამხედველ კომიტეტის რევიზორები ერთხმივ დაადგნენ ამ აზრზე. რა აზრზე, როგორ გგონიათ, ბატონებო? ამ აზრზედ, რომ ბანკმა არ უნდა დაიგირავოს თიხით აგებული სახლი, სახლი, რომელსაც ხის კიბეები აქვს, სახლი, რომელსაც საზაფხულო ბალკონებზედა აქვს, სახლი, რომელსაც ეზო არა აქვს, სახლი, რომელშიაც ღარიბნი სცხოვრობენ. როგორა გგონიათ, რომ იმათს ჭკუას ავყოლოდით, ბევრი მამული გვექნებოდა გირაოთ? ორმოცი მილიონი მამულის მაგივრად ხუთი მილიონის და აქედან ოთხი მილიონისაც სოფლის მამული იქმნებოდა. მაშინ შეეძლო ბანკს შენახვა სასწავლებლისა, სადაც ათასს ყმაწვილზე მეტი იზრდება ბანკის ფულით? გვექნებოდა ეს დიდებული სასწავლებლის შენობა და სხვა ამისთანები?

აი რა ღრმა შეხედულობა იჩინეს ჩვენმა გამომძიებელთა. ამას ჩასჭიდეს ხელი ჩვენთა ერთს რიგს გზაზედ დამდგართ ორატორთა და მარცხნივ, თუ მარჯვნივ ისროლეს ტალახი...

გადავავლოთ თვალი, ოპოზიცია რაში ჰპოვებდა საქმის ნაკლს. ნაკლს ჰხედავდა იმ რეჟიმში, რომელმაც დაიბუდა ბანკის მმართველ ორგანოებში, უმეტეს მაში, რომ მმართველობა არა ჰსინჯავდა არასოდეს იმ მამულებს, რასაც იგირავებდა და ბრმათ ამტკიცებდა ან უკლებდა დამფ. კომისიის დაფასებას. მათი აზრით ხიფათი სწორედ ამას მოჰყვა. დამფასებლები იჩენებდნენ მას, რაც არ იყო დაგირავებულს მამულებში, აფასებდნენ უზომოდ დიდს ფასებში. სარევიზიო კომისია, გულ-წრფელი ოპოზიცია ამაზე აჩვენებდნენ. მაგრამ გამოჩნდნენ ორატორები, რომელთათვის საქმე ბანკის სიკეთესთან კი არა, თავის გულის ტკივილთანა ჰქონდათ. ამათ გადაიტანეს ბრძოლა კერძო საქმეზე და კერძო პირებზე. საერთო საქმე მოჰფინეს მურით. ამგვარ ორატორთგანამა, თავადმა აფხაზმა მიიტანა იერიში სამს მმართველობის წევრზედ,—გრუზინსკისა, მამაცაშვილსა და ჩემზედ, რომელთაც გადავსწყვიტეთ ბაბაევის სახლებზე სესხის მიცემა. მაგრამ ამ ორატორს გაუსწრო თ. თარხნიშვილმა... ამან ამ სამს მმართველობის წევრებში გამომარჩია მე. აქ რეჟიმიცა, უჯერო დაფასებაებიცა, კანცელარიის უწესოებაც, ყველა, ყველა რაც გულწრფელ ოპოზიციის ჰქონდა სახეში, თარხნიშვილმა ჩააფუჩა...

გამოდგა, რომ ყოვლის მიზეზი მე ვყოფილვარ. მთელი ბანკი ჩემა ხელთა ყოფილა და ჩემგნით დაღუპულა მით რომ... ბაბაევის სახლი დაიგირავეს, და ბაბაევის სახლის დაგირავების მიზეზი მე ვყოფილვარ. მილიონების ზარალიდან ჩამოვიდნენ ბაბაევის სახლის ზარალზე, რომელიც როგორც ქვემოდ ვნახავთ, არამც თუ ზარალს, მოგებასაც გვაძლევს. ზარალად სწორეთ მოგებიანი სახლი უჩვენეს საზოგადოებას..

მე მოგახსენეთ რომ მე ვიწვევდი საპატიოსნო სამართალში მოწინააღმდეგეთ. კრებამ შეიწყნარა ჩემი თხოვნა, მაგრამ მოახერხეს კრების დადგენის გაუქმება. იყვეს მათი ნება.

იმედი მაქვს აქაც საკმაო საბუთები წარმოვიდგინო, რომლებითაც შემეძლება დავარღვიო ის ცილები, რომლებითაც აქ წარმოსდგნენ ზოგი ორატორები.

მე ზემოთ აგიწერეთ, რა მკვლევარებიც აღმოჩნდნენ ჩვენი რევიზორ-მეძიებლები, რომ იქ, სადაც სპეციალისტები იყვნენ საჭირონი, იქ თავის თავზედ კისრულობდნენ ამ ხელობას, რა რიგის ცოდნით აფასებდნენ შენობების სიმკვიდრესა და უვარგისობას—ამ გვარივე ცოდნა და კვლევა იჩინეს ბაბიევის სახლზედაც.

პროლეტარს ძმურად და მეგობრულად შეაკავშირებს... კაპიტალისტისა და პროლეტარის ძმობა...

აი ეს აზრი ჩვენ კურთხეულ ტფილისშიაც წარმოსთქვეს რკინის გზის ზოგიერთმა მოხელეებმა. იმათაც სურდათ კავკასიის რკინის გზებზედ მოსამსახურენი ერთ საპროფესიონალო კავშირში მოეთავსებინათ. ამ კავშირს რკინის გზის უფროსი და უბრალო მესისრე უნდა შეეერთებინა. რა ნიადაგზედ უნდა მომხდარიყო ეს შეთანხმება და მოხელეს, რომელიც წელიწადში თვრამეტ ათას მანეთს იღებს ჯამაგირად და მესისრეს, რომელსაც თვრამეტი ან თექვსმეტი მანეთი აქვს თვეში ჯამაგირი, საერთო რა ინტერესი ექნებოდათ? მესისრეს რომ მიმშილით კუჭი გასხმებოდა, რკინის გზის უფროსი ამას იგრძნობდა? ამ გვარად კოკოვცევის კომისიამ შეუთანხმებელი შესათანხმებლად დასახა და „მუშების" პროფესიონალურ კავშირში მწარმოებლებიც მისცა ადგილი.

ახალ ზელანდიაში თვით ხალხია ქვეყნის საქმეების გამგე და სწორედ იმიტომ არის რომ მისი მთავრობა წრფელის გულით არის, პროგრესის მოსურნე და მონატრე. ამ ბედნიერ ქვეყანაში მუშების უმეტესობა უსათუოდ ეკუთვნის რომელსამე კავშირს. ზევით გვქონდა ნათქვამი, რომ ახალ ზელანდიის მთავრობა მრეწველებსაც იმგვარსავე თავისუფლებას აძლევს, როგორც მუშებს და ამ გვარად როცა ორი მოპირდაპირე თავის პოზიციას თავისუფლად და თავისებურად მოიმარჯვებს, ბრძოლის გარდა, შესაძლებელია მათ შორის შეთანხმებაც მოხდეს, სწორედ ამ აზრით ახალმა ზელანდიამ, ეგრედ წოდებული, შემათანხმებელი კომისიები შეადგინა, რომელთ განაჩენს ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა აქვს ხოლმე.

„შემათანხმებელი კომისია" ხუთის წევრისაგან შესდგება. ორს მუშათა საპროფესიონალო კავშირი ირჩევს და ორს—მრეწველთა ასოციაცია მეხუთე წევრს კომისია თითონ ირჩევს. წევრები სამის წლით ირჩევიან. თუ ვინიცობაა, რომელიმე მხარემ არ მოისურვა თავის წარმომადგენლის არჩევა, გუბერნატორი თავის ნებით ნიშნავს კომისიის წევრებს.

კომისიის გადაწყვეტილება არც ერთის მხრისთვის სავალდებულო არ არის. ორსავე მხარეს შეუძლიან კომისიის განაჩენი სამედიატორო სამართალში განასაჩივროს. ეს სამართალი ერთია მთელი ახალშენისთვის და სამის წევრისაგან შესდგება. ერთს მუშების პროფესიონალი კავშირი ირჩევს და მეორეს ამგვარივე კავშირი მრეწველებისა, მესამეს—თავმჯდომარეს კი გუბერნატორი ნიშნავს, მხოლოდ ეს მესამე უსათუოდ ახალშენის უმაღლეს სასამართლოს წევრი უნდა იყოს.

ამ სამართალს შეუძლიან მოწმეები დაიბაროს და ვინც არ გამოცხადდება, დააჯარიმოს და სხ. მისი გადაწყვეტილება უკანასკნელია და განსაჩივრება აღარ შეიძლება.

შემათანხმებელ კომისიაში და სამედიატორო სამართალში მხოლოდ იმისთანა საქმეები გაირჩევა, რომელიც მუშების კავშირებისა და მრეწველთა ასოციაციებისაგან იქნება დაწყებული. ისე, რომ კერძო პირს, მუშას, თუ გინდ მრეწველს, არ შეუძლიანთ ამ დაწესებულებას მიმართოს საქმის გასარჩევად. სამედიატორო სამართალს შეუძლიან საქმის გარჩევის ხარჯი ან ერთ, ან მეორე მხარეს მიაწეროს და თავის გადაწყვეტილებით ხელფასის რაოდენობა სამის წლით სავალდებულო გახადოს, ხსენებული სასამართლო მოვალეა ერთის თვის განმავლობაში უსათუოდ გამოაცხადოს თავისი განაჩენი.

ორსავე დაწესებულებას (შემათანხმებელი კომისია და სამედიატორო სამართალი) შეუძლიან საკითხის გამოსარკვევად და განსამარტავად მცოდნე კაცები მოიწვიოს, ისე კი, რომ ორსავე მხარეს, მუშებსაც და მრეწველებსაც, თანასწორად ჰყავდეთ წარმომადგენელი.

შემათანხმებელი კომისია და სამედიატორო სამართალი 1895 წლის კანონით იქნა შემოღებული და მის შემდეგ ბევრნაირი საკითხი გაირჩა ამ დაწესებულებაში, მაგ. სამუშაო დღის და ხელფასის რაოდენობა, შეგირდების რიცხვი ქარხნებში და სხვა. ხშირად მუშებს იმისთანა ამხანაგებთან არ უნდათ ხოლმე მუშაობა, რომლებიც საპროფესიონალო კავშირს არ ეკუთვნიან. ამისთანა საქმეც რამდენჯერმე გაირჩა სამედიატორო სამართალში.

მუშები ძალიან კმაყოფილნი არიან თავიანთ კომისიებისა და სასამართლოსი, რასაც ახალ ზელანდიის მცოდნე, მინისტრად ნამყოფი, რივსი მოწმობს თავის გამოკვლევაში. მრეწველნი კი საკმარისი ნდობით ვერ შეეპყრნენ ამ დაწესებულებებს და უმეტეს ნაწილად თავისი წარმომადგენელნი არ აირჩიეს, რითაც გუბერნატორი აიძულეს თავის ნებით დაენიშნა მრეწველთა წარმომადგენლები. სწორედ ეს უნდობლობა იმის მიზეზი იყო, რომ საქმე შემათანხმებელ კომისიაში არასოდეს არ ბოლოვდება და საბოლოოდ თითქმის ყოველთვის სამედიატორო სამართალში ირჩევა ხოლმე.

როგორც ამ მოკლე აღწერიდან ნათლად დაინახავს მკითხველი, ახალ ზელანდიის მთავრობა მუშების დაქსაქსვისა და დანაწილება-დაყოფის პოლიტიკას არ მისდევს და რომ მოესურვებინა კიდეც, მათი ბრძოლის დამახინჯებას, სხვა გზისა და ეტლის მიცემას ვერც კი მოახერხებდა, რადგან მუშების დიდი უმრავლესობა კულტურულად იმდენად მაღლა სდგას, რომ თვითეულ მათგანს ჩინებულად ესმის თავისი კლასობრივი ინტერესები და პოლიტიკანობას ნამდვილი მოძღვრებისაგან ადვილად გაარჩევდა. გოლიცამ სთქვა, თუ მტრის დამარცხება გინდა, ჯერ დაანაწილე და იერიში მერე მიიტანეო. ამ მცნებას სავსებით მისდევს ჩვენი ბიუროკრატია და [illegible] შეკავშირების ნებას არავის აძლევს. ახალ ზელანდიაში კი ყველა მოქალაქე და მათ შორის მუშაც, რასაკვირველია, საქვეყნო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეა და მტრად ვის ვინ დასახავდა და მათ დანაწილებას ვინ მოინდომებდა? ახალი ზელანდიისათვის მუშაც ისეთივე სასარგებლო კაცია, როგორც მსაჯული და სხ. ახალ ზელანდიის მთავრობა რომ მართლა ასე უცქერის მუშას და საზოგადოდ, ყველა ადამიანში სარგებლობის მომტანს ჰხედავს, ამას ცხადად მოწმობს 1898 წელს გამოცემული კანონი, რომელიც შემდეგის სიტყვებით იწყება: „რადგან სამართალი მოითხოვს, რომ ყველა პირს, რომელსაც ახალგაზრდობის დროს [illegible] გაღებით თუ თავისის შრომით ახალ [illegible]ის მრეწველობისა და საერთოდ [illegible] ადგილებისთვის თავისი წვლილი არ დაუშურნია, მოხუცებულობის დროს [illegible] პენსია ენიშნებოდეს, ამ კანონით [illegible], რომ ყველა 65 წლის მოხუცს, რომელიც 25 წელზედ ნაკლები არ უცხოვრნია [illegible]-ზელანდიაში და უკანასკნელ თორმეტის წლის განმავლობაში ოთხ თვეზედ მეტს არა მჯდარა საპყრობილეში, პენსია დაენიშნება, თუ წლიური მისი შემოსავალი 520 მანეთს არ აღემატება ან და მისი სარჩო 2,700 მანეთზედ მეტი არა ღირს". მოხუცებულობის პენსიას ყველა იღებს—მამაკაციც და ქალიც, ევროპელიც და მაორიც. ეს კანონი 1898 წ. პირველ ნოემბერს შევიდა ძალაში და 1903 წ. პირველ მარტისთვის 12.500 კაცი კიდეც იღებდა პენსიას. უკანასკნელ საანგარიშო წელს 2,115,940 მან. მიეცათ მოხუცებისთვის.

ახალმა ზელანდიამ ამ მხრითაც გადაუსწრო თავისს მეტროპოლიას—ინგლისს. დიდი ხანია, რაც ინგლისში ამ საგანზედ სჯა და კამათია გამართული, მაგრამ ჯერ ვერც ერთ დასკვნას ვერ დასდგომიან. აქაც, ამ შემთხვევაშიც, ნათლად უნდა სჩანდეს ყველასათვის, რომ ახალშენის მართვა-გამგეობა ინგლისის ცენტრს რომ ეკისრა, ვერც ამ სოციალურ ცვლილებას მოახდენდა ახალ ზელანდიაში, ვერ მოახდენდა ამას ჯერ იმ უბრალო მიზეზით, რომ ლონდონის პარლამენტი თუ დღევანდლამდის ვერ მოაწესრიგა ეს საკითხი ინგლისში, რასაკვირველია, ვერც ამის განაპირა ქვეყანა გადასწყვეტავდა მას უცენტროთ, და მეორე—ახალშენს რომ თვითმმართველობა არ მიჰნიჭებოდა, ინგლისთან ერთად ჯარსა და სამხედრო გემებზედ იმასაც უნდა ეხარჯნა ფული და ამ ხარჯების პატრონი ახალშენი სახალხო განათლებასა, გზების გაყვანასა და, სხვათა შორის, მოხუცებულების პენსიას საიდან გაუძლებოდა?

შვეიცარიასა, ბელგიასა და ახალშენთა კულტურული დაწინაურება უმთავრესად იმითი უნდა აიხსნას, რომ ეს პატარა სახელმწიფონი სამხედრო ძლიერების მეტოქეობას არ მისდევენ და იმ დროს, როდესაც დიდი სახელმწიფონი მთელ თავიანთ ძალას სამხედრო ხარჯს ანდომებენ, ისინი შინაურ ცხოვრებას აწესრიგებენ და ხალხის ფულს ხალხზედვე ხარჯავენ. ომზედ უფრო მეტად დასაზარალებელი ის ხანა ქვეყნისთვის, როცა ისედაც მძიმედ შეიარაღებული ქვეყანა უფრო მეტ იარაღს იხვამს მხოლოდ იმიტომ, რომ ამასვე სჩადის მისი მეზობელი. ამას არ სჩადის პატარა სახელმწიფო და მთელ თავის შემოსავალს ნება უნებურად კულტურულ მოთხოვნილებას ანდომებს.

ი. პ—კი.

---

*) იხ. სურათი დღევანდელ დამატებაში.

ბაბაევის პირველ საქმეში, რომელიც ხელთა ჰქონდათ საქმეების მკვლევართა, არის ცნობა, საიდამაცა სჩანს, რომ ქალაქის გამგეობის ტეხნიკი სპეციალისტები თხოულობდნენ, რომ ბაბაევის შენობაში უნდა ზოგი რამ ალაგები შესწორებული იყვნენ. მეორე საქმეში არის მოხსენებული დამფასებლებისაგან, რომ შენობა მკვიდრია, გირავნობის ვადას დიახ აიტანსო. აქ ამგვარი გადაწყვეტილი თქმის შემდეგ, გამომძიებელნი ან უნდა ჰრწმუნებოდნენ ჩვენს დამფასებლებს, ან უნდა სპეციალისტებისთვის შეემოწმებინათ, რამდენათ მართალნი იყვნენ დამფასებელნი და შეასწორეს შენობაში ის, რასაც ქალაქის სამმართველოს ტეხნიკები თხოულობდნენ. თუ არა, ეს ყველა დაივიწყეს და კაი მცოდნე კაცივით მრისხანე ოქმი შეადგინეს და მრისხანედვე გამოაცხადეს, რომ შენობა არ ვარგაო... რამდენათ შესაწყნარებელია ამგვარი ლაპარაკი, ამას გვიმტკიცებენ ფაქტები. ბატონმა იოსებ მელიქიშვილმა აქაც მოგვახსენათ, რომ მან მოგვგვარა მყიდველი ამ სახლისა, რომელიც ყიდულობდა ყოვლათ უზარალოთ ბანკისთვის, მხოლოდ თხოულობდა ორს ნასყიდობაში ერთი ნასყიდობა ეკისრა ბანკს. ბანკის მმართველობამ უარი უთხრა. უკეთუ მართლა ისეთი უვარგისია, როგორადაც აგვიწერა ეს ერთმა მმართველობის მწევართაგანმა, ნუ თუ იყო ვინმე ისეთი ოხერი, რომ გვაძლია ამ მამულში ასი ათას მანეთზედ მეტი, მეტი ვიდრე ბანკს ჰქონდა მასში მიცემული? უკეთუ ასეთი უხეირო იყო, როგორც აგვიწერეს ჩვენ, ნუთუ მმართველობამ ჩაიდინა ის უგუნურობა, რომ ამგვარი დიდი ფასით არ მოიშორა ეს მამული თავიდამ? და რომ ამ მამულს კარგი ფასი აქვს, ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს ისიც, რომ დღესაც გვიძევს საქმეში შემოტანილი ქაღალდი, სადაც თხოვულობენ მივყიდოთ სრულიად უზარალოდ. და რომ ფასიანი მამულია და მომგებიანია, ეს თქვენ მოისმინეთ ჩვენი მმართველობის თავმჯდომარესაგან, რომ ჩვენს ხელშიც-კი ყველას ხარჯს გარეშე ას თუმანზედ მეტს მოგებას გვაძლევს.

დიახ! და აი რა მამულსა სტაცეს ხელი და ააშენეს მაზედ ზვავი.

ცუდათ ჩაგვეთვალა კიდევ ის ზოგიერთა ორატორთაგან, რომ ძველი საქმე განგებ მოსპეს, რაკი იქ ცოტა ფული ჰქონდათ გადაწყვეტილი და ახლად დაიწყეს საქმე, რომ მეტი ფული მიეღოთ. გამოდიოდა, რომ ეს გამგეობის გაუგებრობა არ მოხდებოდა. ვთქვათ ამითი უნდა ვინმე შეეყვანათ შეცდომაში. ვინ უნდა შეეყვანათ? აშკარაა ის, ვინც უთხრა უარი. უარიც მე ვუთხარ. მე ვუთხარ უარი და მევე მოვატყუე ჩემი თავი? განა კარგი ლოღიკა არ არის? ვუგდოთ სხვას ყური. ჩვენი ბრალმდებელნი უმტკიცებდნენ კრებას, გამგეობამ იცოდა, რომ ახლად დაწყობილი საქმე ბაბაევისა იყო ის საქმე, რომელიც უკვე სწარმოებდა და მოისპოვო. ამისი ცხადი საბუთებიც ის არისო, რომ გამგეობამ მისწერა დამფასებელს კომისიას, ხელმეორედ გასინჯეთ ბაბაევის მამული და ხელმეორედ დააფასეთო. აბა ბატონო ორატორებო, მიჩვენეთ, სად არის ის ქაღალდი და ის ალაგი, სადაც გამგეობამ უბრძანა კომისიას, ხელმეორედ გასინჯეთ და ხელმეორედ დააფასეთო? აი ბატონებო ის ქაღალდი, რომლითაც გაეგზავნა ახალი საქმე კომისიას. აბა მიბრძანეთ, სად არის ეს სიტყვები, სად არის ეს ბრძანება?. თარხნიშვილი ხომ ჯვარსა და სახარებაზე გეფიცებათ, ეს ქაღალდი ფურცელაძის მოწერილიაო. ჯერ ერთი ხომ ჰნახეთ, ამ ქაღალდში კრინტიც არ არის იმაზე, რასაც თარხნიშვილის გვარი ორატორები ბრძანებდნენ, ახლა ჰნახეთ, ვისგანა არის ან ეს უბრალო ქაღალდი გაგზავნილი, ჩემგან თუ სხვებისაგან. აი საქმე, მიჩვენეთ, სად არის აქ ჩემი მიწერილობა? მიწერია მე აქ ქაღალდზე ხელი? წაიკითხეთ, ვის უწერია. უწერია ჭავჭავაძეს და მამაცაშვილს!..

უგდეთ უარესებს ყური. თ. თარხნიშვილი უმტკიცებდა კრებას, რომ ფურცელაძეს ოთხი თვის განმავლობაში ეჭირა ხელში საქმე, ჰსინჯავდა, დოკლადებს აკეთებდა, ყოველივე საქმის გარემოება ძველიც და ახალიც იცოდა დაწვრილებით და მაინც კიდევ მისცა სესხიო. ჯერ ერთი ესა, რატომ არ უნდა მიგვეცა? ჩვენ ვნახეთ, რომ ერთი საუკეთესო შემოსავლიანი და აწერილობითაც საუკეთესო მამული არის, ჯეროვნით ის მოგების მეტს ზარალს არ გვაძლევს? მაგრამ ვნახოთ აქაც, რამდენად არის მართალი თ. თარხნიშვილი. მართლა მჭერია როდისმე ხელში ან ძველი ან ახალი საქმე, მისინჯავს, დოკლადები მიკეთებია თუ არა. აი კიდევ ეს საქმეები. გვიჩვენოს თარხნიშვილმა სად, როდის და რა გარემოებაში მიწარმოებია საქმე. დაწვრილებით ეს საქმე მე გავიცან მხოლოდ ეხლა, როდესაც ამაზე ასტეხეს ლაპარაკი. მაგრამ რა აღმოჩნდა. არც პირველი და არც მეორე საქმე მე არც ერთხელ არ ჩამვარდნია ხელში, მაშასადამე არც მისინჯავს, არც დოკლადები არ მიკეთებია. გასასინჯავად დოკლადებისათვის ორჯერვე სხვა დოკლადჩიკსა ჰქონდა ეს საქმე მინდობილი, და ჩემს ხელში არც ერთხელ არ გაუვლია. აი კიდევ საქმე და ჰნახეთ. ეს კიდევ ცოტაა. არამც თუ არსებითად და დაწვრილებით-თვით გირავნობის მოწმობა, თვით სესხის მიცემის ანგარიშები მე არ მისინჯავს და საქმეში არ ჩამიხედნია. აი, ბატონო ორატორებო კიდევ საქმე და ჰსინჯეთ იგი.

ერთად-ერთი ჩემი მონაწილეობა იყო საქმეში ისა, რომ, როდესაც დამფას. კომისიამ ძველს საქმეში მოგვწერა, ქალაქის გამგეობის ტეხნიკები თხოულობენ, შენობის ზოგიერთა ალაგების შესწორებას და მამულის პატრონები ამბობენ შევასწორეთო, საჭიროა ერთად შევამოწმოთ, შეასრულა შენობის პატრონმა ესეები თუ არაო, მე მომანდო გამგეობამ კომისიასთან და არხიტექტორთან ერთან გამესინჯა სახლი. თუმცა პატრონმა ალაგობრივ გვაჩვენა შიგა და შიგ შესწორებული ალაგები, მაგრამ მე მაინცა არ ვენდე არც ჩემს თავს, არც არხიტექტორის სიტყვებს და მოვახსენე გამგეობას, საჭიროა სპეციალურად გასინჯონ ჩვენმა არხიტექტორმა ქალაქის გამგეობის სპეციალისტებთან ერთად თუ უამისოთ სესხი არ მიეცემა მეთქი. გამგეობა დამთანხმდა. მე ჩემივე ხელით დავსწერე ამისი დადგენილება. თუ რა წყალობის თვალით ვუყურებდი მე ამ საქმეს, აი აქაც ამ ერთათ-ერთს ჩემს საქმეში აქტიურად გარევითაც კი აღმოვუჩინე უნდობლობა, თითქმის უარის თქმა. მაგრამ ბატონმა თარხნიშვილმა სხვა ინება...

აი, ბატონებო, რა საშუალებით წარმოსდგნენ თქვენ წინაშე, ასრე გასინჯეთ აფხაზმა მრისხანე ღენერალის კილოთიც შეგვძახა: „ВСѢХЪ ПРОГОНЮ!“.. საზარი იყო ეს შეძახილი... მაგრამ, დეე თვითონ მისცეს სახელი თავის ამგვარს საქციელს... რაც შეეხება თარხნიშვილს... იმან თვითონვე თავისი ქცევით მისცა თავის თავს პასუხი... და რაოდენი იყვირეს, რაოდენი გულის მრისხანება იჩინეს, რა ნიანგის ცრემლებს ჰღვრიდნენ... და რამდენი სიმართლე ჰქონდათ?

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 ივლისს.

პერიმი, 5 ივლისი. დილით მოვიდა საგოსპიტალო გემი „ვაშპოა“. ჩინეთის კამანდამ უარი განაცხადა გზის განგრძობაზე. რუსეთის რწმუნებული ინსტრუქციებს ელის ადენიდან.

გოძიადანი, 5 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან 3 ივლისის თარიღით, ვითომც მანჯურიაში რუსის ჯარებში მოარული სენი მძვინვარებდეს. ყოველ დღე რამდენიმე ასი კაცი ხდება ავად და 40% კვდებაო. სასანიტარო ნაწილის მთავარ უფროსის სამმართველოში ზურგის ჯარების ყველა საავადმყოფოებიდან წარმოდგენილი ცნობების განხილვამ დაამოწმა, რომ არავითარი სენი არ არის ჯარში. მთებში მცხოვრებ ჯარში უფრო იშვიათად ხდებიან ავად, ვინემ ყაზარმებში. მეტადრე პირველ არმიაში არიან ჯანსაღად. ჩინელები იუწყებიან, მუკდენის ახლო-მახლო ადგილებში შავი ჭირი გაჩნდა და იაპონელები აპირებენ იქიდან ავადმყოფების გაყვანასო.

კიშინევი, 5 ივლისი. ბენდერში ნება დართეს გახსნან რეალური სასწავლებელი. დღეს „ბესარაბ. ჟიზნ.“-ის რედაქციაში გადაიხადეს [illegible] ჩხრეკა.

ნოვაია ბუხარა. ხმებია, მაკდონალდის ექსპედიციას სეისტანში მიზნად აქვს გამოიკვლიოს გზა კვეტიდან კუშკამდე. ამის შესახებ თითქმის შეთანხმებაც მოახდინა ემირთან.

გოთა. პრინც ფილიპე საქსონ-კობურგგოტსკისამ მიმართა ლანდსგერიხტში პრინცესა ლუიზასთან განქორწინების შესახებ.

ბერლინი. ღამით გარდაიცვალა გერმანიის კომერციულ სიეზდის პრეზიდენტი ფრენცელი. გაზეთების ცნობით მეფე ქრისტიანეს დაბრუნებას კოპენჰაგენში კავშირი აქვს იმპერატორ ვილჰელმის დანიაში მისვლასთან. ფიქრობენ, გერმანიის ფლოტი კოპენჰაგენში მივაო.

ნიჟნი ნოვგოროდი. სამხედრო სამართალში მისცეს საიდუმლო პოლიციის უფროსის მკვლელი.

პეტერბურგი. სატახტო ქალაქების ბევრ გაზეთებში იყო დაბეჭდილი ცნობა „რუს. ლისტ.“-დან გადმობეჭდილი, „იმპერატორ ალექსანდრ“-ზე მატროსების აჯანყების შესახებ კრონშტადტში: ვითომც მათ [illegible] 16 მეთაური, რომელნიც სამხედრო საპყრობილეში გაუგზავნიათ, აფიცრებს ვითომც მეორეხელ დაუფიცებიათ კომანდა, კრეისერი „მინინი“ მესამე ფორტების ცეცხლში ყოფილა რომელნიც მზად არიან ჩასძირონ გემი, თუ გაბედავს ადგილიდან დაძვრასო. „კოტლინ“-ის სიტყვით ყველა ცნობები თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა. არავითარი არეულობა არ ყოფილა. „იმპერატორი ალექსანდრ“-მა, არსად არ გასულა კრონშტადტიდან, არავითარ არ დაუფიცებიათ კომანდა, „მინინი“ მშვიდობიანად დადის საარტილერიო სავარჯიშო რაზმში რეველში და მშვიდობიანად არის მაზეთ.

ორენბურგი. სად. ბუზულუკთან დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი.

დონის როსტოვი. „იუჟნაია ბაზარია“-ს [illegible] ქარხანას 200 ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა ცეცხლისაგან. ქარხანა 90 ათას მანეთშია დაზღვეული.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ივლისს.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან 5 ივლისს არ მოსულა ოფიციალური ცნობები.

გუნჯულინი 5 ივლისი გუნჯულინის ცენტრალურ სატელეგრაფო განყოფილებაში მოსამსახურეებმა უფროსის თაოსნობით სამ ათას მეტი ფული გადასცეს მთავარ სარდლის განკარგულებაში, რათა ამ ფულით შეიძინონ ტყვიის მტყორცნელები მომქმედ არმიისთვის. დღეს ძლიერი ნიაღვარი იყო, რის გამო მატარებლების მოძრაობა შეწყდა რამდენიმე საათით.

ლონდონი, ივლისი. ბაასის საგნად გახდა დელკასეს განცხადება, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ერთ მიზანთაგანს რუსეთისა და ინგლისს შორის დაახლოვების მიღწევა შეადგენსო. ერთმა აღმატებულმა პირმა, რომელიც დაახლოვებით იცნობს მეფე ედუარდს, უთხრა „პელ-მელ გაზ.“-ის კორესპონდენტს, მართალია ამ ჟამად რუსეთი და ინგლისი არ დაახლოვებულან კიდევ, მაგრამ შესამჩნევი სიმშვიდე ჩამოვარდა მათ განწყობილებაშიო. ეს ედუარდის დიპლომატიის ბრალია, ვინაიდგან იგი დარწმუნდა, რომ რუსეთის დასუსტება უსწორმასწორობას იწვევს ევროპაშიო. ვიტტეს სიტ მიმართული ამერიკელ ჟურნალისტისადმი რომ რუსეთი მზად არის რამდენიმე წელს იომოს, თუ იაპონელების მიერ წამოყენებული პირობები ჩირქს მოსცხებენ რუსეთის პატივსო, ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს, მეტადრე იმ პირებზე, რომელთა აზრით რუსეთი იძულებულია ზავი შეჰკრას ძალაუნებურად.

ბრესტი, 6 ივლისი. უნტერ-აფიცერი და სამი მუშა, რომელნიც არტილერიის პარკში მუშაობდნენ, სერიოზულად დაიჭრნენ 7 სანტიმეტრიან ყუმბარით. პეკინში შეერთებულ შტატების ელჩს მიწერილება მოუვიდა, [illegible] აღმოუჩინოს და მით მოსპოს ჩინელების ბოიკოტი ამერიკის საქონლების წინააღმდეგ. შიშობენ, ვაი თუ ჩინეთის მთავრობამ ვერ შეძლოს მოძრაობის შეჩერებაო.

პეტერბურგი უმაღლესად დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს აზრი „სპრავოჩნი კანტორები“-ს შესახებ.

მე-80 ტირაჟი 1-ლ მომგებიანის სესხისა.

გათამაშებულ იქმნა შემდეგის სერიების №№:

1490, 15238, 16234, 114, 14850, 13585, 4981, 4942, 616, 12338, 19587, 17515, 10991, 17807, 4574, 15883, 19105, 11717, 8345, 683, 11060, 15525, 16163, 11344, 2480, 10387, 6356, 14478, 5200, 546, 9483, 19923, 10073, 1729, 12771, 10154, 8707, 7796, 1592, 6324, 12067, 8283, 8582, 4889, 16650, 10475, 5177, 16917, 9904, 12652, 16149, 308, 8034, 3673, 14713, 15478, 195, 4842, 11908, 19327, 5583, 4406, 1626, 13231, 19367, 2699, 9892, 8610, 4136, 4014, 6053, 1084, 6005, 10075, 10186, 14683, 6912, 16040, 11744, 14377, 7978, 774, 6239, 3331, 448, 15573, 19277, 2842, 3005, 13998, 3813, 5027, 9410, 17382, 9707, 3303, 18052, 1039, 15924, 15902, 15882, 13640, 1673, 18757, 7158, 10199, 2688, 15751, 18164, 3435, 14597, 3947, 2153, 11402, 2197, 10439, 3166, 13126, 4291, 8427, 14086, 8225, 6481, 17568, 16353, 18943, 3283, 11897, 1053, 8176, 8592, 17531, 17227, 15780, 15755, 13788, 11434, 13988, 6687, 9893, 12215, 189, 15706, 5557, 15945, 2810, 18521, 16519, 19371, 1676, 9160, 11458, 6922, 19437, 4179, 10999, 18252, 8634, 1319, 6131, 19168, 14202, 5871, 4868, 11989, 10100, 1157, 8813, 6998, 9685, 18473, 4564, 2531, 7782, 6?0, 2988, 5861, 4802, 12481, 3504, 14650, 12704, 7931, 11536, 7580, 19724, 10635, 15214, 1871, 6423, 17194, 17499, 2123, 13399, 5074, 15747, 16737, 6690, 4796, 3689, 8635, 17708, 7887, 10974, 11972, 1467, 10566, 93, 5831, 11024, 17292, 17930, 11076, 9335, 15414, 19452, 3137, 18593, 4759, 5435, 12677, 18993, 9220, 3882, 176, 1547, 4681, 15810, 4549, 11994, 13655, 1848, 15291, 19210, 11186, 1680, 19336, 2602, 10426, 12918, 11388, 16411, 11893, 16873, 17734, 9506, 4178, 11702, 1394, 16801, 4829, 2045 9540, 12,000, 7735, 13130, 16,272, 18813, 757, 7542, 16195, 5556, 1564, 19812, 3923, 3905.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერევანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

ტყიბულამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლიანი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 130 ოქროპირისა. (30—8)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია **„ცოდნა“** გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—20
[illegible] ვეფხის ტყაოსანი . . . 10
[illegible] ნ. ნიკოლაძისა 20

[illegible] მოხართავი სურათები: [illegible] დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. [illegible] 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. [illegible] 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. [illegible] 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსაწერთი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე. (20—13)

ქუთაისში

სამ. ბ. თოდუერიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის** ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამა სტამბაში. (25—6)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—7)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ლოკშ-გელბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—13)

ნამდვილი

მაისის ბალზამი

ს.—პეტერბურგში **ოგუხოვის ხიდთან** ისევ იყიდება; ეხლა გადატანილია სავაჭრო სახლში, პირდაპირ, **ოგუხოვის ხიდი 111—15**, ბინა—12 **მხოლოდ** ელენე იაკობის ასულთან კოროსტოვცევასთან, ქმრით სერენი.

გამოგზავნა ფას დადებით. ერთი ბანკა გაგზავნით ღირს 1 მ. 40 კ., 12—ბანკა—12 მან., 6 ბანკა—6 მან, პატარა 50 კ., 1 ბანკა 1 მ. 25 კ., 10 ბანკა—8 მ. 95 კაპ. (მც. 3—2)

წელიწადი — **სანატორიუმი** — მეორე

4400 ფუტის სიმაღლეზე.

საზაფხულო სამყოფი

15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

✦ ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა ✦

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება, წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო. გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—18).

პირველი

კუბოს მაღაზია

გიორგი კიკნაძისა



ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეჭირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთად და იაფად. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—7)



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მაგარი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მისი რეზინ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა

შეიძლება ტფილისისა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიმუნელერ“-ის

საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346 იყიდება მრავლად

ტყავეულობა

რუსული და საზღვარ-გარეთის ფირმებისა

(60—...—56)